საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო

გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მონიტორინგის შუალედური ანგარიში

(1 თებერვალი - 19 ივლისი 2013)

SWEDEN

გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მონიტორინგის შუალედური ანგარიში

1 თებერვალი - 19 ივლისი 2013

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

ანგარიში მომზადდა შვედეთის განვითარების სააგენტოს (Sida) გრანტის ფარგლებში. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა არ ასახავდეს Sida-ს მოსაზრებებს.

SWEDEN

შინაარსი

მოკლე შინაარსი 4
ბაჩანა (ბაჩო) ახალაია 5
საქმე №1 5
1. სენაკის ეპიზოდი 5
2. ვაზიანის ეპიზოდი 7
3. აბესაძისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ეპიზოდი 8
საქმე №2: ე. წ. რეინჯერის კურსის საქმე 13
საქმე №3: ე. წ. ციხის ბუნტის საქმე 17
გიორგი (გიგი) უგულავა და დავით კეზერაშვილი 20
1. ტელეკომპანია „იმედის“ ეპიზოდი 20
2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების საქმიანობის საბიუჯეტო თანხებით დაფინანსების ეპიზოდი 21
ივანე (ვანო) მერაბიშვილი 26
საქმე №1 26
1. სანდრო გირგვლიანის ეპიზოდი 26
2. 26 მაისის ეპიზოდი 26
საქმე №2 28
1. ამომრჩეველთა მოსყიდვის ეპიზოდი 28
2. აგარაკის მისაკუთრების ეპიზოდი 29
ირაკლი ოქრუაშვილი 31
ნიკა გვარამია 33
თენგიზ გუნავა 36
1. ცეცხლსასროლი იარაღით მძღოლის ჯანმრთელობის დაზიანების ეპიზოდი 36
2. სახელმწიფო სახსრების უკანონოდ მითვისების ეპიზოდები (მე-2 და მე-3 ეპიზოდები) 37
მეგის ქარდავა 40
1. ჯაშუშობის აღიარების მიზნით განხორციელებული ძალადობის ეპიზოდი 40
2. სერგო თეთრაძის ეპიზოდი 41
გიორგი (გეგი) ქელბაქიანი და არჩილ ჩოგოვაძე 44

მოკლე შინაარსი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 2013 წლის თებერვლიდან გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო სხდომათა მონიტორინგს ახორციელებს. ეს ანგარიში შეიცავს ინფორმაციას 2013 წლის თებერვლიდან 19 ივლისამდე პერიოდის შესახებ. ორგანიზაციის დამკვირვებლები ესწრებიან სასამართლო სხდომებს, სადაც ყოფილი და ამჟამინდელი მაღალი თანამდებობის პირების საქმეები იხილება. ქვემოთ გთავაზობთ მონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და საქმეთა აღწერილობებს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესების ნაწილი უკვე დასრულებულია და საქმეებზე საბოლოო განაჩენებია გამოტანილი, თუმცა ანგარიშმა ასევე მოიცვა საქმეები, რომელთა განხილვა დღესაც მიმდინარეობს.

პროცესზე დაკვირვებისას რამდენიმე საყურადღებო ტენდენცია გამოიკვეთა:

- სასამართლო პროცესებზე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები დაცული იყო. დაცვასა და ბრალდებას საკუთარი პოზიციების გამოხატვის თანაბარი საშუალება ჰქონდათ. მათ შეეძლოთ შეუფერხებლად ესარგებლათ საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით.
- ბრალდება ძირითადად (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობოდა. სხვა მტკიცებულება ანგარიშის მომზადების მომენტამდე წარმოდგენილი არ ყოფილა.
- რამდენიმე შემთხვევაში პროკურატურის მიერ მოწვეულმა მოწმეებმა მოგვიანებით ჩვენებები შეცვალეს.
- დაცვის მხარის ზოგიერთი წარმომადგენელი ხშირად პროცესის შესახებ პოლიტიკურ განცხადებებს ავრცელებდა.
- პროცესებზე სასამართლომ სამჯერ გამოიყენა დისციპლინური ღონისძიება მხარეებისა და ბრალდებულის მიმართ.
- ყველა შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულებს სასამართლო პროცესის ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატარება შესთავაზეს, მათ უარი განაცხადეს შეთავაზებაზე იმ მოტივით, რომ საზოგადოებაში მათ შესახებ უკვე გარკვეული მცდარი აზრი იყო ჩამოყალიბებული, რაც ხელს შეუშლიდა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.
- სასამართლო წინასწარ არ აქვეყნებდა ინფორმაციას იმ სხდომების შესახებ, რომლებზედაც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი უნდა განხილულიყო. ასეთი პრაქტიკა ხელს უშლის გახმაურებული პროცესების საჯაროობას.
- ბაჩანა ახალაიას საქმეში, საზოგადოების დიდი ინტერესის არსებობის მიუხედავად, პროკურატურა შეეწინააღმდეგა სხდომის ვიდეოგადაღებას და ამ გზით პროცესის გასაჯაროებას.
- სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას საზოგადოების წარმომადგენლები და ორგანიზებული ჯგუფები ბრალდებულების საწინააღმდეგო აქციებს მართავდნენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, სხვა შემთხვევებში კი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს, რის გამოც შესაძლოა საქმე განსხვავებული შედეგით დასრულდეს. ამის გამო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ თავს იკავებს საქმეებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებისგან. ორგანიზაცია აგრძელებს გახმაურებული საქმეების მონიტორინგს და მათ მიმოხილვას მომავალშიც წარმოადგენს.

ბაჩანა (ბაჩო) ახალაია

ბაჩანა ახალაიას პროკურატურამ ბრალი გასული წლის ნოემბერში 3 სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების ჩადენისთვის წარუდგინა. ეს ქმედებები მოგვიანებით გაერთიანდა 1 საქმეში, რომელიც 3 ეპიზოდს მოიცავს. ამასთანავე, ამა წლის მარტში ბაჩანა ახალაიას ბრალი კიდევ ორ საქმეზე წარედგინა. ბაჩანა ახალაიას 2 საქმე სასამართლოში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იხილებოდა.

საქმე №1

1. სენაკის ეპიზოდი

(2010 წლის თებერვალში *სენაკის სამხედრო ბაზაზე* 19 სამხედრო მოსამსახურისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა)

1.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ბაჩანა ახალაია – საქართველოს თავდაცვის მინისტრი; შინაგან საქმეთა მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
3. წამების ორგანიზება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

ალექსანდრე გორგაძე – შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სერჟანტი; მეოთხე ქვეითი ბრიგადის სერჟანტი;

გიორგი კალანდაძე – გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი;

მერაბ კიკაბიძე – საბრძოლო მომზადების ოფიცერი; მეორე ქვეითი ბრიგადის მეთაური.

წაყენებული ბრალი:

1. მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

1.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

ბრალდების თანახმად, 2010 წლის თებერვალში ბაჩანა ახალაიას მითითებით 19 ჯარისკაცს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, კერძოდ, აბანოში ჩაკეტეს. შემთხვევა სენაკის მეორე ბრიგადის ტერიტორიაზე მოხდა. მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს.

1.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

პროკურატურა:

პროკურატურამ 93 მოწმე წარმოადგინა. ისინი მიუთითებდნენ, რომ სამხედრო ბაზაზე 19-მა ჯარისკაცმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესების მოტივით უარი განაცხადა ვარჯიშზე. ამის შემდეგ ისინი გადაიყვანეს სენაკის ბაზაზე, სადაც მათ ბაჩანა ახალაია შეხვდა. ოთახში იმყოფებოდნენ აგრეთვე მერაბ კიკაბიძე, გიორგი კალანდაძე და ალექსანდრე გორგაძე. ბაჩანა ახალაიამ სათითაოდ მიმართა 19 სამხედრო პირს კითხვით, თუ რატომ თქვეს უარი ვარჯიშზე. მოწმეთა განცხადებით, მიმართვა შეურაცხმყოფელი იყო. ერთ-ერთ ჯარისკაცს ახალაიამ ნახევარლიტრიანი ბოთლი ესროლა, თუმცა ის მას არ მოხვედრია. სხვა ჯარისკაცის ჩვენების თანახმად, მას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას გიორგი კალანდაძე აყენებდა. ამის შემდეგ ბრალდებულებმა ჯარისკაცებს უბრძანეს, წელზევით გაეხადათ ტანსაცმელი, გადაუღეს სურათები, მოგვიანებით კი 1 საათის განმავლობაში არბენინებდნენ და აძახებინებდნენ ფრაზას „საქმლის არჭამა ცუდია“.

ჯარისკაცების სირბილს ალექსანდრე გორგაძე ხელმძღვანელობდა. ერთ-ერთი ჯარისკაცის განცხადებით, მას ტკივილები ჰქონდა, რის გამოც სირბილი უჭირდა. ამის გამო ალექსანდრე გორგაძემ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ბრალდების თანახმად, მოგვიანებით ბაჩანა ახალაია ეზოში გავიდა და გასცა ბრძანება, მოესვენებინათ პლაცზე მოვარჯიშე ჯარისკაცები. ამის შემდეგ ჯარისკაცები ჩაკეტეს სამხედრო ნაწილის აბაზანის ტერიტორიაზე, სადაც მათ 3 დღე გაატარეს. ერთ-ერთი დაზარალებულის განცხადებით, ისინი საკმაოდ მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. აბაზანაში მათი ჩაკეტვის მომენტიდან გათბობაც გაითიშა. ერთ-ერთი მოწმის ჩვენების თანახმად, მისი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ, როდესაც აბაზანის დატოვების უფლება მისცეს, მას სიარული არ შეეძლო და ამიტომ მანქანამდე ხელში აყვანილი მიიყვანეს.

დაცვის მხარე:

დაცვის მხარემ 56 მოწმე წარმოადგინა. მათ შორის ჩვენებები მისცა ბაჩანა ახალაიას დაცვის 3-მა წევრმა. ისინი უარყოფენ ბაჩანა ახალაიასა და სხვა ბრალდებულების მიერ ჯარისკაცებისთვის სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს. მათი თქმით, დანაშაული არ მომხდარა.

დანაშაულებრივი ნიშნების მქონე ქმედების ჩადენას თავად ბრალდებულებიც უარყოფენ. ისინი თავს დამნაშავედ არ ცნობენ. მათი ჩვენებები ერთმანეთს ემთხვევა.

მოწმეთა ნაწილი პროცესზე მიუთითებდა, რომ 19 ჯარისკაცის სენაკის ბაზაზე გადაყვანის შესახებ შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტი არ შემდგარა. მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ჯარისკაცების დისლოკაციის ადგილის ცვლილებისას ასეთი დოკუმენტის შედგენა სავალდებულოა.

2. ვაზიანის ეპიზოდი

(2011 წლის ოქტომბერში *ვაზიანის სამხედრო ბაზაზე* 5 სამხედრო მოსამსახურისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება)

2.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ბაჩანა ახალაია – საქართველოს თავდაცვის მინისტრი; შინაგან საქმეთა მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

ზურაბ შამათავა – მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური ვაზიანის სამხედრო ბაზაზე;

ალექსანდრე გორგაძე – შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სერჟანტი; მეოთხე ქვეითი ბრიგადის სერჟანტი;

გიორგი კალანდაძე – გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი.

წაყენებული ბრალი:

მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

2.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

პროკურატურის მტკიცებით, 2011 წლის ოქტომბერში 5 სამხედრო მოსამსახურეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. იმავე პირებს მუქარით დააწერინეს განცხადებები სამხედრო ძალების დატოვების შესახებ.

2.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

პროკურატურა:

მოწმეთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ვაზიანის სამხედრო ნაწილის ჯარისკაცებმა დაბალი მომზადების გამო ვერ გაიარეს შემოწმება, რის შემდეგაც ისინი სპეციალური დანიშნულების რაზმიდან სამხედრო ბრიგადებში გადაანაწილეს. ამის გამო რამდენიმე ჯარისკაცმა უკმაყოფილება გამოთქვა. მოწმეთა ინფორმაციით, ბაჩანა ახალაია ჯარისკაცებთან გასაუბრების მიზნით 2011 წლის 5 ოქტომბერს ვაზიანს ესტუმრა. მან სამხედრო მოსამსახურეები ერთ-ერთ კაბინეტში დაიბარა. მოწმეთა ჩვენებების თანახმად, კაბინეტში ზურაბ შამათავაც იმყოფებოდა, რადგან ჯარისკაცები, რომლებმაც ბრიგადებში გადანაწილების გამო უკმაყოფილება გამოთქვეს, სწორედ მას ექვემდებარებოდნენ.

ბრალდების მხარის მოწმეები (დაზარალებულები) აღნიშნავენ, რომ მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ერთ-ერთი დაზარალებულის განცხადებით, იგი შეიყვანეს მინისტრის კაბინეტში, სადაც მისი მომზადებით უკმაყოფილო ახალაიამ მას თავში დანის ბლაგვი მხარე ჩაარტყა.

დაცვის მხარე:

ბაჩანა ახალაიას განცხადებით, შეხვედრისას ძალის გამოყენება ან შეურაცხყოფა არ ყოფილა. იმავეს ადასტურებენ მოწმის სტატუსით დაკითხული მინისტრის 2 ყოფილი მრჩეველი და მოქმედი პარლამენტის წევრი კახა ბუცხრიკიძე.

ერთ-ერთი მოწმის ჩვენების თანახმად, 2011 წლის ოქტომბერში ბაჩანა ახალაია მართლაც იმყოფებოდა ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, თუმცა ეს მოწმე მისი მისვლის მიზეზად სამხედრო მოსამსახურეებისთვის სწავლების დასრულების მილოცვას ასახელებს.

3. აბესაძისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ეპიზოდი

(2011 წლის 13 სექტემბერს *ზურაბ აბესაძისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა*)

3.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ბაჩანა ახალაია – საქართველოს თავდაცვის მინისტრი; შინაგან საქმეთა მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

მანუჩარ დარასელია – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი;

გიორგი კინწურაშვილი – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი;

გაგა მკურნალიძე – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე.

წაყენებული ბრალი:

1. მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

შენიშვნა: *გაგა მკურნალიძე, მანუჩარ დარასელია და გიორგი კინწურაშვილი პროცესში თავდაპირველად მოწმის სტატუსით მონაწილეობდნენ, ხოლო ჩვენებების შეცვლის შემდეგ სასამართლოს წინაშე ბრალდებულის სტატუსით წარდგნენ (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროცესის აღწერილობის თავში).*

3.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

პროკურატურის მტკიცებით, 2011 წლის ოქტომბერში 5 სამხედრო მოსამსახურეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. იმავე პირებს მუქარით დააწერინეს განცხადებები სამხედრო ძალების დატოვების შესახებ.

ბრალდების თანახმად, 2011 წლის 13 სექტემბერს, გამთენიისას ბაჩანა ახალაიამ ქ. თბილისში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ზურაბ აბესაძეს და მუქარით მოსთხოვა, მის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის ეჩუქებინა, რასაც აბესაძე დაეთანხმა. მანქანის გადაცემის შემდეგ იგი ბაჩანა ახალაიას დავალებით წაიყვანეს ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში, სადაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება 2011 წლის 13 სექტემბრის 21 საათამდე.

3.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

პროკურატურა:

მოწმე **გ.ბ**-ს გაცხადებით, მას დილის საათებში დაუკავშირდა ბაჩანა ახალაია და უთხრა, რომ ზურაბ აბესაძე რესტორანში მიეყვანა. მოწმის ჩვენების თანახმად, ის და ბაჩანა ახალაია მეგობრობდნენ აბესაძესთან და მისი შვილის ნათლიები იყვნენ. გ.ბ-მ შეასრულა მითითება და ზურაბ აბესაძე მითითებულ ადგილას მიიყვანა, თავად კი მალევე დატოვა რესტორანი. მისი თქმით, ის რესტორანში რაიმე ძალადობის მომსწრე არ ყოფილა და, შესაბამისად, ვერ დაადასტურებს, რომ ახალაია უშუალოდ მონაწილეობდა აბესაძის ცემაში. 4-5 დღის შემდეგ, როდესაც ის კვლავ შეხვდა ზურაბ აბესაძეს და მას ფიზიკური დაზიანების ნიშნები შეატყო, აბესაძემ აღნიშნა, რომ ავარიაში მოყვა. დაცვის მხარემ რამდენიმეჯერ ჰკითხა მოწმეს, განხორციელდა თუ არა მასზე ზეწოლა გამოძიების ეტაპზე. მოწმემ ზეწოლის არსებობა უარყო.

ზურაბ აბესაძის (პროცესში დაზარალებულად ცნობილი პირი) ჩვენების თანახმად, მას დილის 4 საათზე დაუკავშირდა უცნობი პირი, რომელმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაზედაც მან იმავეთი უპასუხა. დაზარალებულს იმ ღამესვე დაუკავშირდნენ და ერთ-ერთ რესტორანში ბაჩანა ახალაიას შეახვედრეს. შეხვედრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტელეფონით მას გაგა მკურნალიძე ესაუბრა. ამის შემდეგ დაზარალებულს სცემეს და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. აბესაძის ჩვენების თანახმად, ბაჩანა ახალაია მონაწილეობდა მის ცემაში, თუმცა თავისუფლების აღკვეთის მომენტში იქ არ იმყოფებოდა. აბესაძის განცხადებით, მოგვიანებით იგი იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ დასჯის შესახებ არაფერს იტყოდა, მის კუთვნილ ავტომანქანაზე კი საკუთრების უფლებას მიატოვებდა. მოწმის ჩვენება იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ მის მიმართ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები მიზნად ისახავდა მის დასჯას ბაჩანა ახალაიასთან დაახლოებული პირის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.

დაზარალებული აღნიშნავს, რომ მან მანამდე შიშის გამო არ მიმართა შესაბამის ორგანოებს გამოძიების ჩატარების შესახებ განცხადებით. მხოლოდ ხელისუფლების

ცვლილების შემდეგ შეძლო მან ასეთი განცხადების დაწერა. დაზარალებულის დაკითხვის დროს გაირკვა, რომ იგი ფინანსურად ეხმარებოდა იმდროინდელ ოპოზიციურ პარტიებს, ვინაიდან ხელისუფლების მიმართ ნეგატიურად იყო განწყობილი.

პროცესზე ასევე დადგინდა, რომ დაზარალებული თაღლითობისა და ყაჩაღობისთვის ორჯერ იყო ნასამართლები (წლები და დეტალები პროცესზე არ დასახელებულა). ამ საკითხთან დაკავშირებით **ზურაბ აბესაძემ** განაცხადა, რომ ის უკანონოდ გაასამართლეს და ეს მისთვის ბიზნესის წართმევას ისახავდა მიზნად. პროცესზე არ დასახელებულა, კონკრეტულად რა ბიზნესის მფლობელი იყო ზურაბ აბესაძე.

დაცვის მხარე:

დაცვის მხარის მიერ პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი მოწმის, **გაგა მკურნალიძის**, დაკითხვისას გაირკვა, რომ მან ჩვენება შეცვალა. გამოძიების ეტაპზე ის აცხადებდა, რომ **ახალაიას** დავალებით თავისუფლება აღუკვეთა **აბესაძეს**. **მკურნალიძემ** აღნიშნა, რომ გამოძიების ეტაპზე მან ჩვენება გამოძიების მიერ განხორციელებული ზეწოლის შედეგად მისცა და რომ დაზარალებულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის წესით დასჯადი არანაირი ქმედება არ განხორციელებულა. **მკურნალიძეს** არ დაუსახელებია, კონკრეტულად ვინ ახდენდა მასზე ზეწოლას. ამ ეტაპზე **გაგა მკურნალიძე** საქმეში ბრალდებულის სტატუსით მონაწილეობს.

შენიშვნა: *ჩვენების შეცვლის შემდეგ გაგა მკურნალიძე პროკურატურამ ზ. აბესაძის ცემის და მისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის საქმეში ბრალდებულად ცნო.*

დაცვის მხარის ერთ-ერთი მოწმის, თეა თუთბერიძის, განცხადებით, 2012 წლის 10-11 ნოემბერს მას 2 პირი (**მანუჩარ დარასელია და გიორგი კინწურაშვილი**) დაუკავშირდა. ესენი იყვნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები (აღნიშნული პირები ახალაიას საქმეში მოწმეებად ფიგურირებენ), რომლებმაც მას მიაწოდეს ინფორმაცია პროკურატურის თანამშრომლების მიერ მათზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ. მისი თქმით, პროკურატურის თანამშრომლებმა განუცხადეს, რომ, თუ ისინი ჩვენებას **ახალაიას** წინააღმდეგ მისცემდნენ, საქმეში მოწმის სტატუსი შეუნარჩუნდებოდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ბრალდებულის სტატუსით მოუწევდათ სასამართლოს წინაშე წარდგომა. ერთ-ერთმა მოწმემ ვიდეომიმართვაც გაავრცელა. **გიორგი კინწურაშვილი** იმაზედაც მიუთითებდა, რომ ის წამების ამსახველ კადრებში ფიგურირებდა.

საქართველოს მთავარი პროკურატურა თავად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ **მანუჩარ დარასელია** და **გიორგი კინწურაშვილი** იყვნენ მოწმეები **აბესაძის** ეპიზოდთან დაკავშირებით და, მიუხედავად იმისა, რომ მათი ქმედებები სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების ნიშნებს შეიცავდა, თავდაპირველად მათთვის ბრალი არ წარუდგენიათ (იხ. მთავარი პროკურორის განცხადება). **მანუჩარ დარასელიას** და **გიორგი კინწურაშვილს** ბრალი აღნიშნული ვიდეოების გავრცელების შემდეგ წარუდგინეს.

პროცესზე ბრალდებულ **მერაბ კიკაბიძის** განცხადებით, პროკურატურის თანამშრომლები მას ახალაიას საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას სთხოვდნენ. აბესაძის ეპიზოდთან დაკავშირებით დაბარებულმა მოწმემ, **თ.ტ**-მ, კი განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალურ პოლიციაში ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემის მიზნით მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა.

4. პროცესის მიმდინარეობა:

დაცვის მხარის შუამდგომლობა: გაგა მკურნალიძის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების მოგვიანებით პროცესზე შეცვლის შემდეგ დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მკურნალიძის პირველი ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობისა და ბაჩანა ახალაიასთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის – გირაოთი (50 ათასი ლარი) შეცვლის შესახებ.

დაცვის მხარე ამ შუამდგომლობის წარდგენისას ეყრდნობოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომელთა თანახმადაც, პატიმრობა ბრალდებულს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეეფარდება. ამასთანავე, დაცვა იმაზე აპელირებდა, რომ საქმე უკვე არსებითად იხილებოდა და, შესაბამისად, აღარ არსებობდა ბაჩანა ახალაიას მიერ მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლის თუ მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროება.

შენიშვნა: *ბაჩანა ახალაიას მიერ მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლის ან/და მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროება იყო პროკურატურის არგუმენტი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის დასასაბუთებლად.*

დაცვის მხარემ სათითაოდ განიხილა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული პატიმრობის საფუძვლები და მიიჩნია, რომ არცერთი საფუძველი არ არსებობდა. დაცვა ასევე აღნიშნავდა, რომ ბაჩანა ახალაიას თავდაპირველად წარდგენილი ჰქონდა 2 ბრალდება, რომლებზედაც გამოძიება ცალ-ცალკე მიმდინარეობდა. ორივე საქმეზე ახალაიას სათითაოდ შეეფარდა პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით, ხოლო შემდეგ პროკურატურამ დადგენილებით ეს საქმეები 1 საქმედ გააერთიანა, თუმცა ახალაიას მიმართ დარჩა აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული 2 პატიმრობა. დაცვის მხარე იმასაც აღნიშნავდა, რომ ამგვარ წესს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა და, შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებული პატიმრობა უნდა შეცვლილიყო.

ბრალდების მხარის პოზიცია: დაცვის მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას ბრალდებამ იმ არგუმენტით უპასუხა, რომ ახალაიას მიმართ პატიმრობის ორჯერ გამოყენება სასამართლოს განჩინებით, კანონის სრული დაცვით დადგინდა და პატიმრობის შეცვლის საფუძველი არ არსებობდა. დაცვის მხარის მიერ იმაზე აპელირების პასუხად, რომ საქმეზე მტკიცებულებათა შეგროვება დასრულდა და ყველა მოწმის დაკითხვის გამო მათზე ზემოქმედების საშიშროება აღარ არსებობდა, პროკურორმა მიუთითა, რომ ჩვენება საბოლოოა მაშინ, როდესაც მოწმე საქმის არსებითი განხილვის დროს მიაწვდის სასამართლოს საბოლოო ინფორმაციას; ამდენად, ახალაიას მიერ მოწმეზე ზემოქმედების საშიშროება გაქარწყლებული არ იყო. პროკურორმა მიიჩნია, რომ დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია ახალი გარემოება აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გირაოთი შესაცვლელად და ამიტომ ეს შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

განჩინება: ერთსაათიანი თათბირის შემდეგ მოსამართლემ აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით სასამართლო დარბაზში გამოაცხადა განჩინება, რომლის თანახმადაც, არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა ახალაიასთვის პატიმრობის გირაოთი შეცვლის თაობაზე. სასამართლოს განმარტებით, კვლავ არსებობდა ბრალდებულის მიერ საქმის არსებითი განხილვის დროს დასაკითხ მოწმეებზე ზემოქმედების შესაძლებლობა; ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაცვის მხარემ ვერ მიუთითა ის გარემოება, რომელიც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ახალ გარემოებად იქნებოდა მიჩნეული და პატიმრობის სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძველი გახდებოდა.

მოსამართლემ აღნიშნა, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს დასაკითხი იყო ბევრი მოწმე, რომელთაც ჩვენებები ახალაიას წინააღმდეგ ჰქონდათ მიცემული, და ამ მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროება კვლავ არსებობდა.

დაცვის მხარის მოთხოვნა: წინასასამართლო სხდომაზე ბაჩანა ახალაიას ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა და სხდომის აუდიოვიდეოგადაღების დაშვება მოითხოვა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას. პროკურატურამ განაცხადა: „შუამდგომლობას არ აქვს სამართლებრივი საფუძველი". სხვა არგუმენტაცია პროკურატურის წარმომადგენელს არ მოუყვანია.

განჩინება: მოსამართლემ ადგილზე თათბირით მიიღო გადაწყვეტილება შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე. კერძოდ, მან დაცვის მხარეს მხოლოდ აუდიოჩაწერის განხორციელების უფლება მისცა, ვიდეოჩაწერასთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ მოცემული დროისთვის კანონში არ იყო შეტანილი ცვლილება პროცესის ვიდეოგადაღების დაშვებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: *იმ დროისთვის „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში არ იყო შეტანილი ცვლილება, რომელიც პროცესის ვიდეოგადაღების პირდაპირ და შეუზღუდავად განხორციელების შესაძლებლობას იძლეოდა, თუმცა კანონის იმდროინდელი რედაქციითაც მოსამართლეს საკუთარი გადაწყვეტილებით შეეძლო პროცესის ვიდეოგადაღების ნებართვის გაცემა.*

სასამართლოს მიერ მხარეთა მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენება: ერთ-ერთი მოწმის მიერ სენაკის ეპიზოდთან დაკავშირებით ჩვენების მიცემას ბაჩანა ახალაიას შეუსაბამო რეაქცია მოჰყვა. ამის გამო მოსამართლემ მას სასამართლო დარბაზი დაატოვებინა. დარბაზი პროტესტის ნიშნად ახალაიას ადვოკატმაც დატოვა. მოსამართლემ იგი პროცესის თვითნებურად დატოვების გამო 500 ლარით დააჯარიმა.

ერთ-ერთი სხდომის მიმდინარეობისას დაცვის მხარის ადვოკატის მობილურმა ტელეფონმა დარეკა, რის გამოც მოსამართლემ იგი 100 ლარით დააჯარიმა. სხვა სხდომის მიმდინარეობისას კი მოსამართლემ უადგილო კომენტარის გამო სტაჟიორ-პროკურორი სასამართლო დარბაზიდან გააძევა.

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას. დაცვის განმარტებით, არ არსებობდა საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ბრალდებულები გავლენას მოახდენდნენ მოწმეებზე, გაანადგურებდნენ მტკიცებულებებს ან სხვაგვარად შეუშლიდნენ ხელს საქმის მიმდინარეობას.

განჩინება: სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და არსებული ვითარების გათვალისწინებით ბაჩანა ახალაიას, გაგა მკურნალიძეს, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინწურაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა, ზურაბ შამათავასა და გიორგი კანდელაკს – გირაო 20 ათასი ლარის ოდენობით, ალექსანდრე გორგაძეს – ასევე გირაო. კიდევ ერთ ბრალდებულს, მერაბ კიკაბიძეს, აღკვეთის ღონისძიება არ შეეფარდა.

შენიშვნა: *მანუჩარ დარასელია და გიორგი კინწურაშვილი მიმალულები არიან; მათზე ძებნაა გამოცხადებული.*

6. *განაჩენი:*

2013 წლის 1 აგვისტოს მოსამართლემ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც **ბაჩანა ახალაია უდანაშაულოდ იქნა ცნობილი სამივე ეპიზოდში**. ბრალი არც გიორგი კალანდაძეს, მერაბ კიკაბიძეს, გაგა მკურნალიძეს, გიორგი კინწურაშვილსა და მანუჩარ დარასელიას დაუმტკიცდათ.

ზურაბ შამათავასა და **ალექსანდრე გორგაძეს**, რომლებსაც ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით ჰქონდათ წარდგენილი, დაეკისრათ პასუხისმგებლობა ცემისთვის და სასჯელის სახედ განესაზღვრათ **150 საათი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა**, ამასთანავე, 2013 წლის 12 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ორივე გათავისუფლდა სასჯელის მოხდისა და პასუხისმგებლობისგან.

7. ჩვენი დაკვირვება:

7.1. სენაკის ეპიზოდთან დაკავშირებით:

მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ბაჩანა ახალაია ჯარისკაცების აბაზანაში ჩაკეტვაში უშუალოდ არ მონაწილეობდა. მათი ინფორმაციით, მინისტრმა გასცა ბრძანება სიტყვით „მოასვენეთ“, რაც. პროკურატურის მოწმეთა ვარაუდით, სწორედ აბანოში ჩაკეტვას გულისხმობდა. ამასთანავე, მოწმეთა ჩვენებებით არც ის დასტურდება, რომ თავისუფლების აღკვეთის პერიოდში აბაზანაში პირობები უშუალოდ ბაჩანა ახალაიას მითითებით გაუარესდა (იგულისხმება გათბობის გამორთვა).

7.2. ვაზიანის ეპიზოდთან დაკავშირებით:

საქმეში წარმოდგენილი იყო ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები. ისინი დაცვისა და ბრალდების მხარეებმა წარმოადგინეს. ამასთანავე, დაუდგენელია, რომელი მხარე აძლევდა ცრუ ჩვენებას.

7.3. აბესაძისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ეპიზოდთან დაკავშირებით:

პროცესის მიმდინარეობისას პროკურატურის 3-მა ძირითადმა მოწმემ ჩვენება შეცვალა. მათი ახალი ჩვენებები გამორიცხავდა ბაჩანა ახალაიას დანაშაულში მონაწილეობას. სამივე მოწმე პროკურატურის მიერ განხორციელებულ ზეწოლაზე და ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემის იძულებაზე საუბრობდა.

საქმე №2: ე. წ. რეინჯერის კურსის საქმე

(იაღლუჯის სამხედრო ბაზაზე 7 სამხედრო მოსამსახურის წამება და მათ მიმართ დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობა)

1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ბაჩანა ახალაია – საქართველოს თავდაცვის მინისტრი; შინაგან საქმეთა მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.
2. წამება, ჩადენილი მოხელის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და პოლიტიკური შეხედულებების გამო, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.
3. დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მოხელის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და პოლიტიკური შეხედულებების გამო, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

დავით ვეკუა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი სამმართველოს უფროსი;

დავით ჩუბინიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის საკონტრაქტო თანამშრომელი;

ალექსი დავითაშვილი, დავით გიორგაშვილი, რობერტ სუთიძე, ვლადიმერ ძაგნიევი – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები;

მამუკა აბაშიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი.

წაყენებული ბრალი:

1. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.
2. წამება, ჩადენილი მოხელის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და პოლიტიკური შეხედულებების გამო, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.
3. დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მოხელის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და პოლიტიკური შეხედულებების გამო, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

ათივე პირს ბრალი ედება იაღლუჯის საწვრთნელ ბაზაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი სამმართველოს 7 თანამშრომლის წამებაში, მათთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში და სამსახურებრივი

უფლებამოსილების გადამეტებაში. ბრალდების თანახმად, ბაჩანა ახალაიამ შეიტყო, რომ აღნიშნული პირები კოალიცია „ქართული ოცნების“ მომხრეები იყვნენ, და გადაწყვიტა მათი წამება და მათ მიმართ დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობა, რასაც ორგანიზება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაუწია. 2012 წლის 18 აგვისტოს ბაჩანა ახალაია პირველი სამმართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, როდესაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ზ.ფ-ს, ხოლო დავით ვეკუამ დაამცირა და პატივი და ღირსება შეულახა ექვს სხვა პირს. მოგვიანებით ამ პირებს დააწერინეს განცხადებები სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, თუმცა შემდეგ ისინი გათავისუფლების ნაცვლად ნორიოში, ოფიცერთა გადამზადების კურსებზე გადაიყვანეს. ნორიოს ბაზაზე გრძელდებოდა სამხედრო მოსამსახურეთა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

პროკურატურა:

აღნიშნულ საქმეში დაზარალებულად ცნობილი პირები მიუთითებდნენ, რომ მათ თავდაპირველად ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა პირველი სამმართველოს ტერიტორიაზე ბაჩანა ახალაიამ და დავით ვეკუამ მიაყენეს. ნორიოს ბაზაზე გადაყვანის შემდეგ მათ მიმართ გრძელდებოდა სხვადასხვა სახის ძალადობა. ამასთანავე, ბრალდების მხარე იმაზე აპელირებდა, რომ ეს ქმედებები ბაჩანა ახალაიას მითითებით ხორციელდებოდა, რადგან დაზარალებულები ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერები იყვნენ.

დაზარალებულთა განცხადებით, ბაზაზე მიყვანის შემდეგ **დავით ჩუბინიძის** მითითებით მათ პირადი ნივთები ჩამოართვეს. **მ.ჟ-**ს თქმით, მას ჩანთაში მობილური ტელეფონი უპოვეს, რის გამოც **მამუკა აბაშიძემ** და **ალექსი დავითაშვილმა** სასტიკად სცემეს. ამის შემდეგ 7 პირი სავარჯიშოდ წაიყვანეს და არბენინეს. სირბილის პროცესში ისინი დაამცირეს, ღირსება შეულახეს და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს. ვარჯიშის შემდეგ დაზარალებულები 30 წუთის განმავლობაში ბაზის ტერიტორიაზე მდებარე მიტოვებულ შენობაში ჰყავდათ ჩაკეტილი. გათავისუფლების შემდეგ მათ ალექსი დავითაშვილმა წყლის ქავლი მიასხა. **ზ.ფ**-ს განცხადებით, დავით ჩუბინიძემ მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ფეხების მიმართულებით გაუხსნა ცეცხლი, სხვა 2 დაზარალებულს კი იარაღის კონდახით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მოგვიანებით იგივე პირები ამოთხრილ ორმოში ჩაყარეს და მიწა დააყარეს. მოწმეთა ჩვენებების თანახმად, მათ მოახერხეს ორმოდან ამოსვლა. მათი წამება ამის შემდეგაც გაგრძელდა. მოწმეთა თქმით, მათ მიმართ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს თან სდევდა სიტყვიერი შეურაცხყოფა მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო. დაზარალებულთა მიმართ არაადამიანური მოპყრობა 2012 წლის 21 სექტემბრამდე გრძელდებოდა.

დაცვის მხარე:

ერთ-ერთ სხდომაზე მოწმე **დ.ყ**-მ განმარტა, რომ ე. წ. რეინჯერის კურსის ნაწილი იყო ჯარისკაცებზე ფსიქიკური ზეწოლა, რაც შესაძლოა სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფითაც გამოხატულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით პროკურატურა იმაზე აპელირებდა, რომ რეინჯერის სასწავლო კურსის ოფიციალურად არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი საერთოდ არ მოიპოვება. თავად ბრალდებულ ბაჩანა ახალაიას განცხადებით კი, დოკუმენტი შს სამინისტროში არსებობდა და პროკურატურას შეეძლო მისი გამოთხოვა, თუმცა ამას შეგნებულად არ აკეთებდა.

მოწმეებმა **გ.კ.**-მ, **გ.ქ.**-მ და **ზ.წ**-მ დაადასტურეს, რომ დაზარალებულები იაღლუჯის საწვრთნელ ბაზაზე რეინჯერის კურსს გადიოდნენ და რომ შეურაცხმყოფელი ქმედებები ამ კურსის ნაწილი იყო.

ბრალდებულები უარყოფენ მათთვის წარდგენილ ბრალს. დაცვის მხარემ პროცესზე მტკიცებულებად წარადგინა სამხედრო მოსამსახურეთა ფოტოსურათები, რომლებიც იმ პერიოდშია გადაღებული, როდესაც, ბრალდების მიხედვით, ისინი ნაწამები უნდა ყოფილიყვნენ. დაცვის მხარის მტკიცებით, წარმოდგენილ ფოტოსურათებზე, რომლებიც ანტალიაში იყო გადაღებული, დაზარალებულებს არ ემჩნეოდათ ფიზიკური ძალადობის ნიშნები, მიუხედავად იმისა, რომ, დაზარალებულთა განცხადებით, რამდენიმე მათგანი მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და გადაადგილება არ შეეძლო. დაცვის მხარე იმასაც ამტკიცებდა, რომ შვიდივე დაზარალებულს ფულადი კომპენსაცია გადაუხადეს და რეაბილიტაციის ნაცვლად თურქეთის ერთ-ერთ კურორტზე დასასვენებლად გაუშვეს.

4. პროცესის მიმდინარეობა:

საქმეზე მიმდინარე ერთ-ერთ სხდომაზე ერთ-ერთი დაზარალებულის (**ს.ქ**) დაკითხვისას დაცვის მხარის შუამდგომლობით მანდატურებმა ჩვენების მიცემის პროცესში დაზარალებული შეამოწმეს და აღმოაჩინეს, რომ მას ხელისგულზე დაზარალებულად ცნობილ სხვა პირთა სახელები და გვარები ეწერა.

ერთ-ერთი ბრალდებულის, **ალექსი დავითაშვილის**, განცხადებით, მას გამოძიების ეტაპზე ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემა მოსთხოვეს და **განუმარტეს, რომ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ მას ბრალს არ წაუყენებდნენ**.

ერთ-ერთ სხდომაზე დაცვის მხარემ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ბრალდებულ დავით ჩუბინიძისთვის შეფარდებული პატიმრობის ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ. სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, საქმის გარემოებების გათვალისწინებით დაასკვნა, რომ ბრალდებულის მიერ მტკიცებულებების განადგურებისა და მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროება აღარ არსებობდა, და დააკმაყოფილა შუამდგომლობა. დავით ჩუბინიძეს შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება და პატიმრობის ნაცვლად გირაო (15 ათასი ლარი) შეეფარდა.

მხარეთა დასკვნითი სიტყვებით გამოსვლის ეტაპზე ბრალდებულთა ადვოკატებმა პროკურატურის მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება გამოხატეს. კერძოდ, ერთ-ერთმა ადვოკატმა პროკურორს საბჭოთა კავშირის გადმონაშთი უწოდა და წოდებით „ამხანაგი“ მიმართა. ამასთანავე, ადვოკატმა ბრალდების მხარე არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულა და პროკურატურას მტკიცებულებათა გაყალბებაში დასდო ბრალი.

შენიშვნა: *ერთ-ერთი სხდომის მიმდინარეობისას თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის გარეთ ბაჩანა ახალაიას საწინააღმდეგო აქცია იმართებოდა. სხდომის დასრულების შემდეგ, როდესაც სასამართლო დარბაზში მყოფი პირები, მათ შორის, ბაჩანა ახალაიას ახლობლები და ადვოკატები, სასამართლოს შენობიდან გამოვიდნენ, მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ადვოკატებმა აქციის მონაწილეებს იმავეთი უპასუხეს, რის შემდეგაც სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ვითარების კიდევ უფრო გაუარესების თავიდან აცილების მიზნით საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ხულიგნობისთვის რამდენიმე პირი დააკავეს.*

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: პროკურატურამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. ამის საფუძველი იყო ბრალდების სიმძიმე, ბრალდებულთა პიროვნებები და იმის საშიშროება, რომ ისინი საქმის მიმდინარეობაზე ნეგატიურ გავლენას (მოწმეებზე ზემოქმედება, მტკიცებულებათა განადგურება) მოახდენდნენ.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას და არ გაიზიარა ბრალდების პოზიცია ბრალდებულთა მიერ საქმის მიმდინარეობისთვის შესაძლო ხელის შეშლის შესახებ.

განჩინება: ბაჩანა ახალაიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა (აღსანიშნავია, რომ სხვა საქმეზე მას უკვე ჰქონდა შეფარდებული პატიმრობა). პატიმრობა შეეფარდათ ასევე ალექსი დავითაშვილს, დავით ვეკუას, ვლადიმერ ძაგნიევს, დავით გიორგაშვილს, მამუკა აბაშიძესა და რობერტ სუთიძეს. ბრალდებულ დავით ჩუბინიძეს თავდაპირველად აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 15 ათასი ლარის ოდენობის გირაოთი შეეცვალა.

6. განაჩენი:

საქმეზე განაჩენი გამოტანილი არ არის. ამ ეტაპზე მხარეთა დასკვნითი სიტყვების მოსმენა ხდება.

7. ჩვენი დაკვირვება:

დაზარალებულთა თქმით, მათ მიმართ ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა ხორციელდებოდა, მათ შორის, თავად ბაჩანა ახალაიას მიერ, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში დაზარალებულს ხელისგულზე ჰქონდა დაწერილი სხვა დაზარალებულთა ვინაობა, რაც ობიექტურ დამკვირვებელს მისი ჩვენების მიმართ კითხვის ნიშნებს უჩენს. გარდა ამისა, ბრალდების ერთ-ერთმა მოწმემ ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ მას აიძულეს ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ გამოსვლა, თუმცა იძულების ფაქტი დადასტურებული არ არის.

დაცვის მხარის მოწმეთა განცხადებით, ფსიქიკური ძალადობა ე. წ. რეინჯერის კურსის ნაწილი იყო, თუმცა, სამწუხაროდ, პროცესზე არ ყოფილა წარმოდგენილი კონკრეტული დოკუმენტი, რომელშიც ამ კურსის მომზადების მეთოდოლოგია იქნებოდა ჩამოყალიბებული.

საქმე №3: ე. წ. ციხის ბუნტის საქმე

(2006 წლის 26-27 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პირველ და მე-5 დაწესებულებებსა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებებში მომხდარი ე. წ. ციხის ბუნტი)

1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ბაჩანა ახალაია – საქართველოს თავდაცვის მინისტი; შინაგან საქმეთა მინისტრი; იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე;

მეგის ქარდავა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი;

რევაზ ჭარბაძე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

დავით ჭაკუა – საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

წაყენებული ბრალი:
სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები</u>.

2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

ბრალდების თანახმად, ბაჩანა ახალაიამ ჩამოაყალიბა გეგმა, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პირველ და მე-5 დაწესებულებებსა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებებში მსჯავრდებულთა მიერ ბუნტის დაგეგმვის შთაბეჭდილება უნდა შექმნილიყო. **ამ გეგმის მიზანი იყო ბაჩანა ახალაიას მიერ პატიმრების წამების და მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გაქარწყლება.** მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ გეგმის მონაწილეებმა, **პ.მ**-მ, **ზ.ვ**-მ, **გ.ა**-მ და **ლ.ც**-მ, არ შეასრულეს გეგმით გათვალისწინებული ქმედებები, რის გამოც მათ ბრალდებულებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. დამამცირებელი ქმედებები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული სხვა პირების დასანახად ხორციელდებოდა, რასაც, ბრალდების თანახმად, მოჰყვა არეულობა როგორც სამკურნალო, ისე პირველ და მე-5 დაწესებულებებში, რომელიც ბუნტში გადაიზარდა.

3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

აღნიშნული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის მტკიცებულებებია მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც, მათი განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიმდინარე მოვლენათა მომსწრენი იყვნენ.

მოწმეები სასამართლო პროცესზე ჯერ არ დაკითხულან.

4. პროცესის მიმდინარეობა:

საქმეზე გაიმართა სხდომა, რომელზედაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი განიხილეს. 2013 წლის ივლისში ჩატარდა წინასასამართლო სხდომა. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბაჩანა ახალაიას ბრალდებულად ცნობის შესახებ აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. პროცესი აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით ბრალდების მხარის პოზიციის ჩამოსაყალიბებლად გადაიდო.

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: პროკურატურამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ბაჩანა ახალაიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის

შეფარდების შესახებ. ბრალდების პოზიციით, არსებობს იმის საშიშროება, რომ ბრალდებული გავლენას მოახდენს მოწმეებზე.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას. დაცვა ძირითადად იმაზე აპელირებდა, რომ ბაჩანა ახალაიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა სხვა საქმეზე უკვე რამდენიმეჯერ ჰქონდა შეფარდებული; შესაბამისად, კიდევ ერთი პატიმრობის გამოყენება კანონის დარღვევა იქნებოდა. ამასთანავე, ვინაიდან ბაჩანა ახალაია უკვე პატიმრობაში იმყოფებოდა, არც მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროება არსებობდა.

განჩინება: სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ბაჩანა ახალაიას და სხვა ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

შენიშვნა: *ბრალდებული მეგის ქარდავა, როგორც ცნობილია, მიმალულია.*

6. განაჩენი:

საქმეზე განაჩენი გამოტანილი არ არის. საქმე არსებითად არ განხილულა.

7. ჩვენი დაკვირვება:

საქმე არსებითად არ განხილულა და არც მოწმეებს მიუციათ ჩვენებები; შესაბამისად, ამ დროისთვის ჩვენს დაკვირვებას ვერ წარმოვადგენთ.

გიორგი (გიგი) უგულავა და დავით კეზერაშვილი

1. ტელეკომპანია „იმედის“ ეპიზოდი

(ჯოზეფ ქეის მიერ ტელეკომპანია „იმედის“ წილზე უარის თქმა და მისი ხელისუფლებასთან დაახლოებული პირის საკუთრებაში გადასვლა)

1.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

გიორგი უგულავა – ქ. თბილისის მოქმედი მერი;

დავით კეზერაშვილი – საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზება – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

1.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

2008 წლის მდგომარეობით, შპს „ტელეიმედის“ საკონტროლო წილის მფლობელი იყო ჯოზეფ ქეი, რომელსაც იმ დროისთვის ტელეკომპანიის ფუნქციონირებისათვის 10 მლნ აშშ დოლარი ჰქონდა დახარჯული. ბრალდების მტკიცებით, ჯოზეფ ქეის ხელისუფლების სახელით შეხვდა დავით კეზერაშვილი და მუქარით დაიყოლია ის „ტელეიმედის“ დათმობაზე, ამასთანავე, მისცა პირობა, რომ მას გაწეული 10 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ხარჯებს გიორგი უგულავა აუნაზღაურებდა.

კერძოდ, ბრალდების თანახმად, გიორგი უგულავას მითითებით ჯოზეფ ქეიმ თავისი წილი დავით კეზერაშვილის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ, პანამაში რეგისტრირებულ კომპანია „Bordex Limited“-ს გადასცა. ამის შემდეგ გიორგი უგულავა მოელაპარაკა შპს „ახალი რიყის“ მესაკუთრეებს, რომ მათ მიერ 2006 წელს 7 მლნ აშშ დოლარად შეძენილ რიყის ტერიტორიას თბილისის მერია ვითომდა უკან გამოისყიდდა 17 მლნ აშშ დოლარად, რომლიდანაც 10 მლნ აშშ დოლარი ჯოზეფ ქეისთვის გადასაცემად იყო გათვალისწინებული. ქ. თბილისის მერიამ 2008 წლის 29 დეკემბერს ქ. თბილისის მთავრობის სახელით გამოსცა დადგენილება, რომლის საფუძველზედაც თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდიდან“ რიყის ტერიტორიის უკან გამოსყიდვის მიზნით შპს „ახალ რიყეს“ 17 მლნ აშშ დოლარი გადაერიცხა. ამის შემდეგ შპს „ახალი რიყის“ ხელმძღვანელობასა და ჯოზეფ ქეის კომპანია „Lakebrow Limited“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც შპს „ახალი რიყის“ საბანკო ანგარიშიდან ჯოზეფ ქეის კომპანიას 8 811 189 აშშ დოლარი გადაერიცხა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გამოძიებამ დაასკვნა, რომ ტელეკომპანია „იმედი“ ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისებისა და შემდგომი გათეთრების გზით იქნა მისაკუთრებული.

ბრალდების თანახმად, აღნიშნულ საქმეში დავით კეზერაშვილის მონაწილეობა შემდეგში გამოიხატა: დავით კეზერაშვილი ხელისუფლების სახელით შეხვდა ჯოზეფ ქეის და პირდაპირი მუქარით დაიყოლია „ტელეიმედის“ დათმობაზე, ერთადერთი პირობით, რომ მას გაწეული 10 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ხარჯებს გიორგი უგულავა აუნაზღაურებდა.

გიორგი უგულავას მითითებით ჯოზეფ ქეიმ თავისი წილი დავით კეზერაშვილის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ, პანამაში რეგისტრირებულ კომპანია „Bordex Limited“-ს გადასცა.

1.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

გიორგი უგულავასა და დავით კეზერაშვილს ბრალი წარედგინათ ჯოზეფ ქეის 2 ჩვენებაზე დაყრდნობით, რომლებიც მან ქ. სტამბოლში არსებულ საქართველოს საკონსულოში მისცა. ჩვენებაში ჯოზეფ ქეი საუბრობს ბრალდებულთა მიერ შემუშავებულ სქემაზე, რომელიც ჯოზეფ ქეის საკუთრებაში არსებული ტელეკომპანია „იმედის“ წილების მისაკუთრებას ისახავდა მიზნად. აღსანიშნავია, რომ საქმე არსებითად არ განხილულა; შესაბამისად, ჯოზეფ ქეის სასამართლო პროცესზე ჩვენება არ მიუცია. საქმეში მხოლოდ მის მიერ პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებაა წარმოდგენილი.

2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების საქმიანობის საბიუჯეტო თანხებით დაფინანსების ეპიზოდი

2.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

გიორგი უგულავა – ქ. თბილისის მოქმედი მერი.

წაყენებული ბრალი:

დიდი ოდენობით სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისება – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი</u>.

2.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის თანახმად:

გიორგი უგულავას ასევე ბრალი ედება საბიუჯეტო თანხების გამოყენებით პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობის დაფინანსებაში, რომლის ორგანიზატორი, პროკურატურის მტკიცებით, სწორედ უგულავა იყო. კერძოდ, მისი დავალებით 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფში“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებისთვის ფულის დარიგების მიზნით სპეციალურად შეიქმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“, რომელშიც ფიქციურად გაფორმდა 764 აქტივისტი – ე. წ. პარტიული კოორდინატორი. უმეტესობას ამ სამსახურში არცერთი დღე არ უმუშავია, რეალურად კი პარტიულ საქმიანობას ეწეოდა. მიუხედავად ამისა, მათ დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან ხელფასის სახით 4 130 728 ლარი დაერიცხათ.

2.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

ამ დროისთვის მტკიცებულებები განხილული არ არის, თუმცა სასამართლომ განიხილა დაცვისა და ბრალდების მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი (შესაბამისად, 22 და 58 ტომი), რომლის ფარგლებშიც დაცვამ ითხოვა ბრალდების ზოგიერთი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა, რადგან ისინი კანონმდებლობის დარღვევით იყო მოპოვებული *(იხ. ქვემოთ)*.

4. პროცესის მიმდინარეობა:

სასამართლოს კითხვაზე, სურდა თუ არა ბრალდებულს, საქმე განსახილველად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასცემოდა, ბრალდებულმა უარი განაცხადა, რადგან აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საზოგადოებაში არასწორი შეხედულება იყო ჩამოყალიბებული, რაც ნაფიც მსაჯულთა მიერ არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების საფრთხეს ქმნიდა.

დაცვის მხარის შუამდგომლობა: დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა **ნ.ბ**-ს ჩვენების დაუშვებლად ცნობის შესახებ, არგუმენტად კი ის მოიყვანა, რომ მოწმის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი სხვაობა იყო.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარის პოზიციით, ის არგუმენტი, რომ **ნ.ბ**-მ არსებითად შეცვალა თავდაპირველი ჩვენება და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები მისცა, არასწორია.

განჩინება: სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ ეტაპზე სასამართლო არ განიხილავდა მოწმის ჩვენების შინაარსს და, შესაბამისად, ვერ შეაფასებდა, მართლაც არსებობდა თუ არა ჩვენებებს შორის სხვაობა. სასამართლოს განმარტებით, ეს არსებითი განხილვის საგანი იყო. *შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა* და მტკიცებულება დასაშვებად იქნა ცნობილი.

დაცვის მხარის შუამდგომლობა: დაცვის მხარის პოზიციით, ჯოზეფ ქეის პირველი დაკითხვა, რომელიც 2013 წლის 15 თებერვალს თურქეთის ტერიტორიაზე შედგა, უკანონო იყო. კერძოდ, ბრალდების მხარეს არ ჰქონდა უფლება, დაეკითხა აშშ-ის მოქალაქე, რომელიც ქ. სტამბოლში, საქართველოს საკონსულოში იმყოფებოდა. საქართველოს საკონსულო თურქეთში არა საქართველოს, არამედ თურქეთის ტერიტორიაა (წარმოდგენილ იქნა შესაბამისი ნორმატიული მასალა და არგუმენტები). ვინაიდან დაკითხვა თურქეთის ტერიტორიაზე მოხდა, საჭირო იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართვა უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოსადმი; შესაბამისად, დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ დაკითხვა კანონიერად არ მომხდარა. დაცვის მხარემ ჯოზეფ ქეის მეორე დაკითხვაც სადავო გახადა. მისი განმარტებით, დაკითხვის ოქმი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან იგი პირველი დაკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა. დაცვის მხარის განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ პირველი დაკითხვის ოქმი უკანონოდ არის მოპოვებული, სასამართლომ მასზე დაფუძნებული დამატებითი ოქმიც დაუშვებლად უნდა ცნოს. *დაცვის მხარე იმაზედაც მიუთითებდა, რომ მეორე ჩვენებაში სიტყვასიტყვით იყო გადატანილი 600 სიტყვა პირველი ჩვენებიდან, რაც მტკიცებულებათა გაყალბებაზე მეტყველებს.* დაცვის მხარემ ასევე წარმოადგინა ექსპერტის დასკვნა, რომელიც ადასტურებდა, რომ მეორე დაკითხვის ოქმში 600 სიტყვა პირველი დაკითხვის ოქმიდან იყო კოპირებული. აღნიშნული ექსპერტის დასკვნა სასამართლომ დასაშვებ მტკიცებულებად ცნო და საქმის მასალებს დაურთო.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა დაცვის მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს და განაცხადა, რომ პირველი დაკითხვა ჯოზეფ ქეის 2 ადვოკატის თანდასწრებით მიმდინარეობდა. რაც შეეხება ჯოზეფ ქეის მეორე ჩვენებას, ის პირველი ჩვენებისგან დამოუკიდებლად იყო მოპოვებული; შესაბამისად, პირველი ჩვენება სასამართლოს რომც ეცნო უკანონო გზით მოპოვებულად, მეორე ჩვენება მაინც დასაშვებად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ბრალდების მხარეს პირველი და მეორე ჩვენებების მსგავსებაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

განჩინება: სასამართლომ *ნაწილობრივ დააკმაყოფილა* დაცვის მხარის შუამდგომლობა

მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ. კერძოდ, ამორიცხულ იქნა ჯოზეფ ქეის 2013 წლის 15 თებერვლის ჩვენება. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული მტკიცებულება საპროცესო ნორმების დარღვევით იქნა მოპოვებული. **სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საკონსულო არ არის საქართველოს ტერიტორია და ბრალდების მხარე ვალდებული იყო სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიემართა თურქეთისთვის და საზღვარგარეთ პირთა დაკითხვისთვის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ემოქმედა.** ჯოზეფ ქეის მეორე ჩვენება, რომელიც თბილისში იქნა მოპოვებული, დასაშვებ მტკიცებულებად ცნეს.

დაცვის მხარის შუამდგომლობა: დაცვის მხარემ ასევე დააყენა შუამდგომლობა **პაატა სირაძისა და გიორგი ისაკაძის მოწმეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ**. ამ მოწმეების დაკითხვა ღამის საათებში მოხდა, რაც კანონმდებლობით მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაშია დასაშვები. დაცვის მხარის მტკიცებით, მოცემულ შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობა არ არსებობდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: პროკურატურის განცხადებით, მტკიცებულებები დასაშვებად უნდა ყოფილიყო ცნობილი და მოწმეები დასაკითხ პირთა სიაში უნდა შეეყვანათ, რადგან მათი ღამის საათებში დაკითხვა გადაუდებელი აუცილებლობით იყო განპირობებული.

განჩინება: აღნიშნულ პირთა ღამის საათებში დაკითხვა სასამართლომ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობისთვის საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია; შესაბამისად, დაცვის მხარის *შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა* და ჩვენებები საქმის მასალებს დაერთო.

დაცვის მხარის შუამდგომლობა: პროცესის მიმდინარეობისას დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულ დავით კეზერაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე. დაცვის მტკიცებით, დავით კეზერაშვილის ჯოზეფ ქეისთან შეხვედრის ფაქტი არ დასტურდებოდა, რის გამოც მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი არ არსებობდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა დაცვის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას. მისი პოზიციის დასასაბუთებლად პროკურატურის წარმომადგენელმა ჩვენების განხილვა დაიწყო, დაცვის მხარემ კი გააპროტესტა და მიუთითა, რომ მოცემულ ეტაპზე არ უნდა მომხდარიყო მტკიცებულების არსებითი განხილვა და მისი შინაარსის გამჟღავნება. მოსამართლემ პროტესტი მიიღო.

განჩინება: დაცვის მხარის შუამდგომლობა *არ დაკმაყოფილდა*. მოსამართლემ მიიჩნია, რომ როგორც შპს „თბილსერვის ჯგუფის“, ისე ტელეკომპანია „იმედის“ შემთხვევაში შეინიშნებოდა კეზერაშვილის მიერ სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების შესაძლო ჩადენის ნიშნები.

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა გიორგი უგულავასთვის გირაოს სახით 1 მლნ ლარის შეფარდების შესახებ. ამის საფუძველი იყო თავად ბრალდების სიმძიმე, აგრეთვე გიორგი უგულავას პიროვნება და შემოსავალი.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მიერ დაყენებულ შუამდგომლობას. მისი განმარტებით, გირაოს სახით 1 მლნ ლარის შეფარდება მხოლოდ იმ მოტივით, რომ უგულავას 5 წლის განმავლობაში ხელფასის სახით 500 ათასი ლარის შემოსავალი ჰქონდა, წარმოუდგენელი იყო, რადგან გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო

ის ფაქტიც, რომ გიორგი უგულავას 5 მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. დაცვის მხარე ასევე აღნიშნავდა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროება არ იკვეთებოდა, რამდენადაც ბრალდებულ გიორგი უგულავას ამ პერიოდში რამდენჯერმე ჰქონდა ქვეყნის ტერიტორია დატოვებული და იგი, ყველაფრის მიუხედავად, დაბრუნდა საქართველოში, რადგანაც თავს უდანაშაულოდ თვლის, თანამშრომლობს გამოძიებასთან და საკუთარი უდანაშაულობის სასამართლოში დამტკიცებას აპირებს.

განჩინება: სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა, რადგან ბრალდების მხარემ ვერ დაასაბუთა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძვლები. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმალვის, მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის, აგრეთვე პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედების და გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხე.

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: ბრალდების მხარემ ასევე დააყენა შუამდგომლობა თბილისის მერისთვის საქართველოს საზღვრის გადაკვეთის აკრძალვის და საგამოძიებო უწყებაში ყოველკვირეული გამოცხადების ვალდებულების დაკისრების თაობაზე.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ განაცხადა, რომ შუამდგომლობა სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული, პროკურატურა კი პოლიტიკური ოპონენტის დამცირებას ისახავდა მიზნად. დაცვის მხარემ ასევე აღნიშნა, რომ ბრალდებულს, როგორც ქალაქის მერს, სამსახურებრივი მოვალეობებიდან გამომდინარე ხშირად უწევდა მივლინებებში სიარული, რის გამოც მისთვის მსგავსი შეზღუდვის დაკისრება წარმოუდგენელი იქნებოდა.

განჩინება: შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა. ამის შედეგად გიორგი უგულავას მიმართ არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიება არ იქნა გამოყენებული.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში ასევე წარდგენილ იქნა შუამდგომლობა გიორგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე. სასამართლოს განჩინებით ბრალდების მხარეს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და გიორგი უგულავა არ იქნა გადაყენებული თანამდებობიდან, რადგან ბრალდების მიერ შუამდგომლობაში მითითებული თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლები ზოგადი და დაუსაბუთებელი იყო.

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: პროკურატურამ მოითხოვა დავით კეზერაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება, რადგან იგი პროცესზე არ გამოცხადებულა; შესაბამისად, არსებობდა ეჭვი, რომ ის ემალებოდა სასამართლოს.

დაცვის მხარის პოზიცია: დავით კეზერაშვილის ადვოკატი არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას და განაცხადა, რომ სასამართლოს კეზერაშვილისთვის პატიმრობა არ უნდა შეეფარდებინა და შეეძლო მის ნაცვლად გირაო გამოეყენებინა. მან ასევე აღნიშნა, რომ კეზერაშვილი არ გაქცეულა ქვეყნიდან და არც გამოძიებასა და სასამართლოს ემალებოდა; მან უბრალოდ დროის სიმცირის გამო ვერ მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულთა ინტერესების დამცველმა მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა კომენტარი დავით კეზერაშვილის მიმართ პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობაზე, რაც მოსამართლემ მას შეახსენა, რომ ის გიორგი უგულავასთან ერთად დავით კეზერაშვილის ინტერესებსაც იცავდა.

განჩინება: დავით კეზერაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის

გამოყენების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. აღსანიშნავია, რომ დავით კეზერაშვილმა დატოვა ქვეყნის ტერიტორია და მასზე ძებნაა გამოცხადებული.

6. განაჩენი:

საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ გამოცხადებულა. პროცესი დღემდე მიმდინარეობს; დაწყებულია საქმის არსებითი განხილვა.

7. ჩვენი დაკვირვება:

7.1. ტელეკომპანია „იმედის“ ეპიზოდი:

ბრალდება ძირითადად მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობა. ამასთანავე, პროცესის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ ბრალდების ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულება კანონის დარღვევით იყო მოპოვებული, რის გამოც ის ბათილად იქნა ცნობილი.

7.2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების საქმიანობის საბიუჯეტო თანხებით დაფინანსების ეპიზოდი:

საქმეში წარმოდგენილი მოწმეები საკმაოდ მრავალფეროვან ჩვენებებს აძლევდნენ. ამ ეტაპზე საქმე არსებითად განიხილება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვისას ბრალდებულთა ადვოკატი მხოლოდ გიორგი უგულავაზე ამახვილებდა ყურადღებას და მხოლოდ მისი შემთხვევიდან გამომდინარე საუბრობდა. მოსამართლემ დაცვის მხარის ადვოკატს შეახსენა, რომ ის დავით კეზერაშვილსაც იცავდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო დამცველმა დავით კეზერაშვილის ინტერესებზე საუბარი.

ივანე (ვანო) მერაბიშვილი

საქმე №1

1. სანდრო გირგვლიანის ეპიზოდი

(სანდრო გირგვლიანის სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებისთვის ხელის შეშლა)

1.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ივანე მერაბიშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; პრემიერ-მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

1. წამება, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.
2. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

1.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

ბრალდების მტკიცებით, ივანე მერაბიშვილი მოქმედებდა დაკისრებული მოვალეობებისა და საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, უკანონო ჩარევის გზით და ერთიანი განზრახვით, გავლენას ახდენდა სანდრო გირგვლიანის სიცოცხლისა და თავისუფლების ხელყოფის სისხლის სამართლის საქმეზე მიკერძოებული და არაობიექტური სამართალწარმოების უზრუნველყოფისთვის, შემდეგ კი, საქმეზე დაკავებული პირების მიერ სასჯელის მოხდის მთელ პერიოდში მსჯავრდებულთათვის უკანონო შეღავათებს აწესებდა და ხელი შეუწყო სასჯელისგან მათ ვადამდე გათავისუფლებას.

1.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

ამ ეტაპზე საქმეზე მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ პროცესია ჩატარებული. მტკიცებულებები ჯერ არ წარმოდგენილა. მიუხედავად ამისა, სანდრო გირგვლიანის ეპიზოდთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქმეზე არსებობს რამდენიმე ათეული პირის (მათ შორის, ნინო ბურჯანაძის) ჩვენება, რომლებიც საფუძვლად დაედო გამოძიების დაწყებას და მოგვიანებით ივანე მერაბიშვილის ბრალდებულად ცნობას. საქმეში არსებობს ასევე წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება (მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ), შინაგან საქმეთა მინისტრისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის წერილები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“.

2. 26 მაისის ეპიზოდი

(2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის კანონსაწინააღმდეგო მეთოდებით დაშლა)

2.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ივანე მერაბიშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; პრემიერ-მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

2.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

ბრალდების მტკიცებით, ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებითა და ხელმძღვანელობით დაიგეგმა 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლა არალეგიტიმური ღონისძიებების გამოყენებით. კერძოდ, ბრალდების თანახმად, აქციის დაშლა არ მომხდარა პროპორციული ძალის გამოყენებით; ხდებოდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებზე თავდასხმა, რომლის გამოკვეთილი მიზანი იყო დემონსტრანტების მასობრივი დაკავება, დაშინება, დასჯა, მათზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება.

2.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

ამ ეტაპზე საქმეზე მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ პროცესია ჩატარებული. მტკიცებულებები ჯერ არ წარმოდგენილა. პროკურატურის განმარტებით, საქმეში არსებობს მოწმეთა ჩვენებები, აგრეთვე სხვა მტკიცებულებები, მაგალითად, ინდივიდუალური აქტები შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

4. პროცესის მიმდინარეობა:

გაიმართა მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სხდომები.

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდებულს არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიება არ შეეფარდა. აღსანიშნავია, რომ მას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა ამომრჩევლის მოსყიდვისა და მითვისება-გაფლანგვის საქმეზე *(იხ. ქვემოთ)*; შესაბამისად, იგი უკვე იმყოფებოდა პატიმრობაში და თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამატებითი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება საჭირო არ იყო.

6. განაჩენი:

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

7. ჩვენი დაკვირვება (ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით):

ვინაიდან საქმე არსებითად ჯერ არ განხილულა, ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა უფლებების რეალიზაციის შეფასება. ჩვენი დაკვირვების მიხედვით, პროცესზე

დაცვის მხარის უფლებები არ შეზღუდულა; მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპები დაცული იყო.

საქმე №2

1. ამომრჩეველთა მოსყიდვის ეპიზოდი

პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის მიზნით ბიუჯეტიდან 5,2 მლნ ლარის გახარჯვა, რომელიც უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამის დასაფინანსებლად იყო გამოყოფილი.

1.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ივანე მერაბიშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; პრემიერ-მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

1. ამომრჩევლის მოსყიდვა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1] მუხლი.
2. მითვისება ან გაფლანგვა დიდი ოდენობით – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

ზურაბ ჭიაბერაშვილი – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; თბილისის მერი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი; კახეთის მხარის გუბერნატორი.

წაყენებული ბრალი:

ამომრჩევლის მოსყიდვა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1] მუხლი.

1.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

პროკურატურის მტკიცებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის, აგრეთვე აღნიშნული პარტიის სახელმწიფო სახსრებით შენიღბული და ფარული დაფინანსების მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილთან და სხვა პირებთან ერთად დაგეგმა და განახორციელა ოპერაცია, რომლის მიხედვითაც, უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან 5,2 მლნ ლარი უკანონოდ გადაერიცხა დაახლოებით 22 ათას პირს (თითოეულს – 240 ლარი). ბრალდების მტკიცებით, მითითებული პირები მოჩვენებით გააფორმეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომლები, სინამდვილეში კი მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ, ხოლო ფული მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხმის მიცემის და საარჩევნო აგიტაციის წარმოების სანაცვლოდ მიიღეს. ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდება ასკვნის, რომ ივანე მერაბიშვილის ქმედებით სახელმწიფოს 5,2 მლნ ლარის ზიანი მიადგა.

1.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

ამ ეტაპზე საქმეზე მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ პროცესია ჩატარებული. მტკიცებულებათა წარმოდგენა და განხილვა არ მომხდარა, თუმცა, ბრალდების მხარის განცხადებით, საქმეზე დასაკითხია 18 ათასი მოწმე, რომლებიც ეტაპობრივად უნდა დაიკითხონ.

2. აგარაკის მისაკუთრების ეპიზოდი

(შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ კუთვნილი ფეშენებელური აგარაკის მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ დაკავება და სარგებლობა)

2.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ივანე მერაბიშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; პრემიერ-მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილი</u>.

2.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

ბრალდების თანახმად, ივანე მერაბიშვილმა 2009 წლის მაისში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით და დაშინებით დაიკავა შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ კუთვნილი ფეშენებელური აგარაკი. ის ოჯახთან ერთად თითქმის 4 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ სარგებლობდა ამ ქონებით. მანვე ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და სხვისი აგარაკის საკუთარი ოჯახის წევრების გემოვნებით მოწყობის მიზნით იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებით გაარემონტა. დანაშაულის კვალის დაფარვისთვის ივანე მერაბიშვილმა გამოიყენა საიდუმლო ხარჯები, რომლებითაც, კანონის თანახმად, დანაშაულთან ბრძოლისთვის გათვალისწინებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო. მისივე განკარგულებით, სამინისტროს ბიუჯეტიდან იფარებოდა აგარაკზე მომუშავე დამხმარე პერსონალის სახელფასო ანაზღაურებაც. ამის შედეგად სახელმწიფოს 158 ათასი ლარის ზიანი მიადგა (მე-2 და მე-3 ეპიზოდები).

2.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

ამ ეტაპზე საქმეზე მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ პროცესია ჩატარებული. მტკიცებულებათა წარმოდგენა და განხილვა არ მომხდარა, თუმცა, ბრალდების მხარის განცხადებით, საქმეზე რამდენიმე მოწმეა დასაკითხი.

4. პროცესის მიმდინარეობა:

გაიმართა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სხდომები. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ პროცესის მიმდინარეობის პარალელურად სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე იმართებოდა როგორც ბრალდებულთა მხარდამჭერი, ისე მათი საწინააღმდეგო აქციები.

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. ბრალდების მტკიცებით, დაკავების აუცილებლობა იმ ვარაუდით იყო განპირობებული, რომ მათ შეიძლებოდა საზღვარი გადაეკვეთათ და მიმალულიყვნენ, გავლენა მოეხდინათ მოწმეებზე და თავი აერიდებინათ გამოძიებისთვის.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ არ გაიზიარა ბრალდების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება საჭირო არ იყო.

განჩინება: სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ბრალდების არსის, ბრალდებულთა პიროვნების, მათ მიერ მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლის თუ მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროების გათვალისწინებით ივანე მერაბიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა, ხოლო ზურაბ ქიაბერაშვილს – გირაო (20 ათასი ლარი).

6. განაჩენი:

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

7. ჩვენი დაკვირვება (ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით):

ამ დროისთვის საქმის არსებითი განხილვა დაწყებული არ არის. აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას პროკურატურამ განაცხადა, რომ ჯერ არ დაკითხულა ყველა მოწმე, საქმეში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები და ივანე მერაბიშვილისთვის პატიმრობის შეფარდება აუცილებელი იყო, რათა მას არ ჰქონოდა მოწმეებზე ზემოქმედების შესაძლებლობა.

ირაკლი ოქრუაშვილი

(თავდაცვის სამინისტროსთვის 63 მილიონი უხარისხო ვაზნის შეძენა)

1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ირაკლი ოქრუაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; თავდაცვის მინისტრი; ეკონომიკური განვითარების მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

სამსახურებრივი გულგრილობა – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლი</u>.

შენიშვნა: *2011 წლის 18 ივნისს პროკურატურამ ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და ხელმძღვანელობის საქმეზე. 2013 წლის 18 იანვარს ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი მოეხსნა.*

აღნიშნულ პროცესებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებელი არ ესწრებოდა, თუმცა საქმის მიმდინარეობას ორგანიზაციის იურისტები აქტიურად ადევნებდნენ თვალყურს.

2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

თავდაცვის სამინისტროსთვის 63 მილიონი უხარისხო ვაზნა იქნა შეძენილი.

3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

მოწმეთა ჩვენებების თანახმად, 2006 წელს თავდაცვის სამინისტრომ შეიძინა 63 მილიონი ვაზნა, რომლებიც ქვეყანაში 3 ნაწილად შემოვიდა. ნაკლი მხოლოდ მესამე ნაწილს აღმოაჩნდა. მოწმეებმა ასევე განაცხადეს, რომ ვაზნებს ექსპერტიზა უკვე დავით კეზერაშვილის მინისტრობის პერიოდში ჩაუტარდა.

პროცესის მიმდინარეობისას ასევე გაირკვა, რომ პირადად მინისტრს ვაზნების შემოწმება არ ევალებოდა, თუმცა, ამის მიუხედავად, იგი აკონტროლებდა ამ საკითხს და ვაზნები სწორედ მისი დავალებით გადამოწმდა. ამასთანავე, პროცესზე დადგინდა, რომ ვაზნების ნასყიდობის ხელშეკრულებას ხელს აწერდა არა ირაკლი ოქრუაშვილი, არამედ შესყიდვების სამსახურის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებული იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილის წინაშე.

მოწმის სახით დაიკითხა ექსპერტი, რომელმაც ბალისტიკური ექსპერტიზა ჩაატარა. მისი ჩვენების თანახმად, შემთხვევითი შერჩევის წესით (გასროლით) შემოწმდა 1650 ვაზნის ვარგისობა. ექსპერტის დასკვნის მიხედვით, ყველა ვაზნამ გაისროლა. დაფიქსირდა მხოლოდ მცირედი ცდომილება ტყვიის სიჩქარეში.

თავად ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენება ემთხვეოდა სხვა მოწმეთა ჩვენებებს. აღსანიშნავია ისიც, რომ, ბრალდებულის განცხადებით, ტყვიების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლები თავად დაუკავშირდნენ მას შესყიდვასთან დაკავშირებით. ოქრუაშვილის თქმით, ის ტყვიების შესყიდვით იმიტომ დაინტერესდა, რომ 2006 წლის

ბოლოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ცხინვალის აღების შესახებ; შესაბამისად, ვაზნების მომარაგება აუცილებელი იყო.

4. პროცესის მიმდინარეობა:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: 2013 წლის 2 თებერვალს ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. პროკურატურის განმარტებით, არსებული მტკიცებულებით არ დასტურდებოდა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა.

დაცვის მხარის პოზიცია: მოსამართლემ დაცვის მხარეს ჰკითხა აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით მისი პოზიციის შესახებ. დაცვის მხარე დაეთანხმა შუამდგომლობას.

განჩინება: მოსამართლე გავიდა სასამართლო დარბაზიდან და ერთსაათიანი თათბირის შემდეგ გამოცხადა განჩინება პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ, რადგან არსებობდა იმის საშიშროება, რომ ბრალდებული გავლენას მოახდენდა მოწმეებზე.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას, რადგან, მისი განმარტებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება აუცილებელი არ იყო.

განჩინება: ირაკლი ოქრუაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. მოსამართლემ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, რომლის მიხედვითაც, არსებობდა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ მოწმეებზე გავლენის მოხდენის საშიშროება.

შენიშვნა: *2011 წლის 11 იანვარს, მოწმეთა დაკითხვის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილს პატიმრობის ნაცვლად გირაო (15 ათასი ლარი) შეეფარდა.*

6.განაჩენი:

ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

7. ჩვენი დაკვირვება:

საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებები, აგრეთვე ექსპერტის დასკვნა ბრალდებულის სასარგებლოდ მეტყველებდა, რის გამოც საბოლოოდ ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი თავად პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მოეხსნა.

ნიკა გვარამია

(ქრთამის აღება და შეთავაზება „ხრამჰესი 1“ -ის, „ხრამჰესი 2“ -ის, „მტკვარი ენერგეტიკისა“ და „თელასის“ მფლობელი კომპანიის, „ინტერ რაოს“, მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის თავის არიდების მიზნით)

1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

ნიკა გვარამია – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე; იუსტიციის მინისტრი; განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

1. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის მიღებაში დახმარება – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი და 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.
3. ყალბი დოკუმენტის დამზადება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.
4. ცრუ მეწარმეობაში დახმარება – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე და 193-ე მუხლები.

ალექსანდრე ხეთაგური – საქართველოს ენერგეტიკის მინისტი; ფინანსთა მინისტრი.

წაყენებული ბრალი:

1. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.
2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.
3. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

კახაბერ დამენია – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

დევი კანდელაკი, გიორგი კანდელაკი, აშოტ მანუკიანი, იზაბელა გუტიძე, გიორგი ნემსიწვერიძე – სამეწარმეო საქმიანობაში (კერძოდ, კომპანიებში „თელასი“, „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“, „მტკვარი ენერგეტიკი“ და „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენი“) ჩართული პირები.

წაყენებული ბრალი:

1. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის შეთავაზება – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლი.
2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
3. ცრუ მეწარმეობა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლი.

2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

პროკურატურის მტკიცებით, ბრალდებულები კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობდნენ. წარმოებდა მოლაპარაკებები ენერგეტიკის მინისტრთან, რათა „ხრამჰესი 1“-ის, „ხრამჰესი 2“-ის, „მტკვარი ენერგეტიკისა“ და „თელასის“ მფლობელ კომპანიას, „ინტერ რაოს“, თავი აერიდებინა საგადასახადო შემოწმებისთვის.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ზემოხსენებულ კერძო საწარმოთა მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის თავის არიდების მიზნით დევი კანდელაკმა ალექსანდრე ხეთაგურს თანხმობის მისაღებად ქრთამის სახით 1 მლნ აშშ დოლარი შესთავაზა, რასაც ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი დათანხმდა. ასევე ბრალდების თანახმად, აღნიშნული მოლაპარაკებების ორგანიზებაში უშუალოდ მონაწილეობდა ნიკა გვარამია. კერძოდ, პროკურატურის მტკიცებით, ნიკა გვარამიამ გიორგი კანდელაკს 1 მლნ აშშ დოლარის გადაცემის შესანიღბად შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმა გაუზიარა. ნიკა გვარამიას დავალებით გიორგი ნემსიწვერიძემ ფიქციურად შექმნა შპს „ელ ენდ ეფ სერვისი“, რომელიც, პროკურატურის მტკიცებით, საკონსულტაციო საქმიანობას მოჩვენებით ახორციელებდა. შპს „ელ ენდ ეფ სერვისი“ 2012 წლის 26 ივლისს დარეგისტრირდა. ამის შემდეგ მის ანგარიშზე „ხრამჰესი 1“-ის, „ხრამჰესი 2“-ის, „თელასისა“ და „მტკვარი ენერგეტიკის“ ანგარიშებიდან თანხები გადაირიცხა შპს „ელ ენდ ეფ სერვისის“ მიერ მათთვის გაწეული ფიქციური საკონსულტაციო საქმიანობის ასანაზღაურებლად. „ელ ენდ ეფ სერვისს“ სულ 1 მლნ აშშ დოლარი გადაერიცხა.

3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

საქმე 16 ტომისგან შედგება. არსებობს მოწმეთა ჩვენებებიც. ამჟამად მტკიცებულებები იხილება.
შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელთა ჩვენებების თანახმად, 2012 წლის აგვისტოში „ხრამჰესი 1“-ში, „ხრამჰესი 2“-ში, „თელასსა“ და „მტკვარი ენერგეტიკში“ ფინანსური შემოწმება დაიწყო, მისი დაწყებიდან 2 კვირის ვადაში კი სამსახურის უფროსმა ალექსანდრე ხეთაგურის ბრძანების საფუძველზე შეწყვიტა შემოწმების პროცესი.

ერთ-ერთი მოწმის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მას ალექსანდრე ხეთაგური დაუკავშირდა და საგადასახადო შემოწმების შეწყვეტა მოსთხოვა. მოწმის თქმით, ყოფილმა მინისტრმა მასთან საუბარში აღნიშნა, რომ, ვინაიდან არჩევნების შედეგად მთავრობა შეიცვალა, მიზანშეწონილი იყო შემოწმების შეჩერება.
მოწმედ დაბარებულმა ერთ-ერთმა ექსპერტმა (ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან) დაადგინა, რომ შპს „ელ ენდ ეფ სერვისის“ სახელით ზოგიერთ დოკუმენტზე ხელს გიორგი ნემსიწვერიძე აწერდა, ხოლო ზოგზე – სხვა პირი, თუმცა მისი ხელმოწერა გიორგი ნემსიწვერიძისას იყო მიმგვანებული. ეს ხელმოწერის გაყალბებაზე მიუთითებს.

4. პროცესის მიმდინარეობა:

წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეებს საქმეში არსებულ ტექნიკურ ხარვეზებზე მიუთითა, მაგალითად, წარმოდგენილ დოკუმენტებში თარიღების, მტკიცებულებების ჩამონათვალში ნუმერაციის უსწორობაზე, მიღება-ჩაბარების აქტებში მექანიკურ შეცდომებზე; გარდა ამისა, არეული იყო ადვოკატის ორდერის ნომერი და პირადობის მოწმობის ნომერი, მტკიცებულებათა სიაში მითითებული ოქმი სატელეფონო შეტყობინებების შესახებ არ იყო წარმოდგენილი. ჩამოთვლილ იქნა საკმაოდ ბევრი ხარვეზი, რასაც სასამართლო დარბაზში ირონიული სიცილი და რამდენიმე კომენტარიც მოჰყვა. მოსამართლემ გააფრთხილა პირები წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გამოსაყენებელი ქმედებების შესახებ, რის შემდეგაც დარბაზში მსგავსი კომენტარები აღარ გაკეთებულა.

საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვის შესახებ. მოსამართლემ ამასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გამოხატვა სთხოვა დაცვის მხარეს. ბრალდებულებმა უარი განაცხადეს საქმეში ნაფიც მსაჯულთა მოწვევაზე, მიზეზად კი ის დაასახელეს, რომ მათ მიმართ საზოგადოებაში მცდარი სტერეოტიპები იყო ჩამოყალიბებული, რასაც შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა ნაფიც მსაჯულთა ობიექტურობაზე.

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას, რადგან მიიჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება აუცილებელი არ იყო.

განჩინება: სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და საქმის გარემოებების გათვალისწინებით ნიკა გვარამიას, ალექსანდრე ხეთაგურს, კახაბერ დამენიასა და დევი კანდელაკს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 30 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გიორგი კანდელაკს, აშოტ მანუკიანს, იზაბელა გუტიძესა და გიორგი ნემსიწვერიძეს – გირაო 15 ათასი ლარის ოდენობით; შესაბამისად, ბრალდებულთა მიმართ პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

6. განაჩენი:

პროცესი დღემდე მიმდინარეობს. ამ ეტაპზე მტკიცებულებათა გამოკვლევა და მოწმეთა დაკითხვა ხდება.

7. ჩვენი დაკვირვება:

ამ დროისთვის მოწმეთა ჩვენებებიდან მხოლოდ ის ირკვევა, რომ საგადასახადო შემოწმების პროცესი ალექსანდრე ხეთაგურის ბრძანების საფუძველზე შეჩერდა. ასევე გამოიკვეთა შპს „ელ ენდ ეფ სერვისის“ სახელით ხელმოწერათა სავარაუდო გაყალბების შემთხვევები.

თენგიზ გუნავა

1. ცეცხლსასროლი იარაღით მძღოლის ჯანმრთელობის დაზიანების ეპიზოდი

(თენგიზ გუნავას მიერ ცეცხლსასროლი იარაღით საკუთარი მძღოლის, კ.ი-ს, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება)

1.1.ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

თენგიზ გუნავა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი; სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი.

წაყენებული ბრალი:

1. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი</u>.
2. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი</u>.

1.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

თენგიზ გუნავა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსად მუშაობდა, როდესაც გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას. 2012 წლის 31 მარტს მან ზუგდიდში, რკინიგზის სადგურზე საკუთარი მძღოლი ცეცხლსასროლი იარაღით მარჯვენა ფეხში დაჭრა. კ. ი-მ მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

1.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ჯანმრთელობის დაზიანების ეპიზოდზე – ერთ-ერთი მოწმის ჩვენების თანახმად, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდებოდა დანაშაულში მხილებული პირის მიყურადება და იმავე საქმეზე კახაბერ იზორიას ტელეფონის მოსმენაც დაიწყო. მიყურადების შედეგად გაირკვა, რომ იზორიას გუნავას ნათესავთან (დაოჯახებულთან) სასიყვარულო საუბარი ჰქონდა და მას ინტიმური შინაარსის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა. თავად დაზარალებულის თქმით, მან ინტიმური მოკლე ტექსტური შეტყობინება გუნავას ნათესავს შემთხვევით გაუგზავნა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ დაზარალებულს მეორე დღესვე დააწერინეს განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ. მას იმავე დღეს შეხვდა გუნავა და კიდევ სამი პირი. საუბრის დასრულების შემდეგ, როდესაც მოწმე ტოვებდა ტერიტორიას, ის ცეცხლსასროლი იარაღიდან ფეხში დაჭრეს. დაზარალებულის თქმით, იარაღი თან ჰქონდა როგორც გუნავას, ისე იქ მყოფ სხვა პირებს, თუმცა მან ვერ დაინახა, ვინ გაისროლა. ექსპერტიზით დასტურდება ჭრილობების ცეცხლსასროლი იარაღით მიყენების ფაქტი. სხვა მოწმეებმა (დაზარალებულის ნათესავები და ოჯახის წევრები) დაადასტურეს დაზარალებულის დაჭრის ფაქტი, თუმცა მოწმეები, ბ.გ-ს გარდა, აღნიშნავენ, რომ ისინი არ ყოფილან ინციდენტის მომსწრენი და, შესაბამისად, არ იციან, ვინ გაისროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, რის შედეგადაც დაიჭრა დაზარალებული.

2. სახელმწიფო სახსრების უკანონოდ მითვისების ეპიზოდები (მე-2 და მე-3 ეპიზოდები)

(6750 ლარის ღირებულების 3000 ლიტრი ბენზინის და 49 500 ლარის მითვისება)

2.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

თენგიზ გუნავა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი; სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი.

წაყენებული ბრალი:

სხვისი ნივთის დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო მითვისება, როდესაც ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში,– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (2 ეპიზოდი).

2.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

თენგიზ გუნავამ 2012 წლის 11 აგვისტოს მისდამი დაქვემდებარებულ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსს, ზაზა ჩოხელს, დაავალა, სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან 3000 ლიტრი ბენზინი „პრემიუმის“ საწვავის ტალონები მიეღო და მისთვის გადაეცა. ზაზა ჩოხელმა იმავე დღეს გასავლის ზედდებულით მიიღო 6750 ლარის ღირებულების 3000 ლიტრი ბენზინი „პრემიუმის“ საწვავის ტალონები და გუნავას გადასცა. ბრალდების მტკიცებით, გუნავამ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, რადგან საწვავი სამსახურებრივი დანიშნულებით არ გამოიყენა; ასევე არ იქნა დაცული კონკრეტული ნორმატიული აქტით (ეს ნორმატიული აქტი – მინისტრის ბრძანება – სახელმწიფო საიდუმლოებაა) დადგენილი პროცედურები.

2012 წლის აგვისტოში თენგიზ გუნავას მოთხოვნით და შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანხმობით სამინისტროს გენერალური ინსპექციის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსს, ზაზა ჩოხელს, დაევალა გუნავაზე გაცემული 49 500 ლარის მისთვის გადაცემა. მან მიღებული თანხა მაშინვე სრულად გადასცა თენგიზ გუნავას. ამ თანხის მოთხოვნა თენგიზ გუნავამ ოფიციალურად მოგვიანებით გააფორმა, რისთვისაც 2012 წლის 24 აგვისტოს შეადგინა პატაკი ფარული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებიდან 49 500 ლარის გამოყოფაზე (შესაბამისი ნორმატიული აქტი – მინისტრის ბრძანება –სახელმწიფო საიდუმლოებაა). აღნიშნული თანხის თენგიზ გუნავას მიერ მიღება დადასტურებულ იქნა 2012 წლის 01 სექტემბრის სალაროს გასავლის ორდერით. ბრალდების თანახმად, მითითებული თანხა (49 500 ლარი) თენგიზ გუნავამ სამსახურებრივი საჭიროებისთვის არ გამოიყენა, რის შედეგადაც სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

2.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებები 30 ათასი აშშ დოლარისა და 3000 ლიტრი ბენზინის ეპიზოდებზე – შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლების ჩვენებით, აღნიშნული უწყების შესაბამის დეპარტამენტში/სამსახურში (საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ადმინისტრაციული სამსახური) შედიოდა

წერილობითი განცხადებები თანხის ან საწვავის მიღების თაობაზე, რის შემდეგაც ხდებოდა მისი გაცემა. გაცემას ხელს გამცემი პირი და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსი აწერდნენ. თანხის/საწვავის გამოყენების შემდეგ უწყებაში შედიოდა დოკუმენტი თანხის გახარჯვის შესახებ (საწვავის შემთხვევაში – ზედდებული), რასაც თან სდევდა თანხის/საწვავის ჩამოწერა. მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ერთ-ერთ შემთხვევაში 30 ათასი დოლარი იმ ოპერატიულ ერთეულზე გაიცა, რომლის უფროსიც გუნავა იყო. ასევე ერთ-ერთი მოწმის ჩვენების მიხედვით, გუნავას სახელზე 3000 ლიტრი ბენზინი შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე გაიცა, რაც, მისივე მითითებით, ჩვეული პრაქტიკა იყო. მისი ჩვენების თანახმად, მან შეადგინა შესაბამისი საბუთი და ჩამოწერა ბენზინი მხოლოდ ბენზინის გაცემის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვერ შევძელით ამ ორი ეპიზოდის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვება, რადგან მინისტრის ის ბრძანება, რომელიც შესაბამის პროცედურებს არეგულირებს, სახელმწიფო საიდუმლოებაა. იმავე მიზეზით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სხდომები დახურული იყო.

4. პროცესის მიმდინარეობა:

თენგიზ გუნავას ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერების (მართლსაწინააღმდეგო) შეძენა-შენახვის მუხლით ედებოდა, თუმცა იმის გამო, რომ მტკიცებულებები საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით იყო მოპოვებული, მას ბრალი მოეხსნა მოსამართლის მიერ პროკურორის შესაბამისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ.

ერთ-ერთ სხდომას არ ესწრებოდა თენგიზ გუნავას ადვოკატი (პარალელურად მიმდინარეობდა ბაჩანა ახალაიას პროცესი, რომელზედაც ბრალდებულის ინტერესებს იგივე პირი იცავდა). მის შემცვლელად წარმოდგენილი იყო სხვა პირი (სტაჟიორი), რომელსაც არ ჰქონდა ადვოკატის მოწმობა; შესაბამისად, დაცვის მხარის მიმართვის მიუხედავად, მოსამართლემ არ მისცა მას აღნიშნულ სხდომაზე ბრალდებულის ინტერესების დამცველად გამოსვლის უფლება.

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ, რადგან არსებობდა თენგიზ გუნავას მიერ საქმის მიმდინარეობისთვის ხელის შეშლის საშიშროება.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას და აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი სახის, კერძოდ, გირაოს, გამოყენება მოითხოვა.

განჩინება: თბილისის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე, არ გაითვალისწინა პროკურატურის მოთხოვნა და თენგიზ გუნავას აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 10 ათასი ლარის ოდენობით, საპატიმრო უზრუნველყოფით.

6. განაჩენი:

ბრალდებული თენგიზ გუნავა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ორივე ეპიზოდში და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებაში უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა.

თენგიზ გუნავა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების ორივე ეპიზოდში, კერძოდ, 3000 ლიტრი ბენზინისა და 49 500 ლარის მითვისებაში, დამნაშავედ იქნა ცნობილი და საბოლოოდ, სასჯელთა შთანთქმის პრინციპისა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2013 წლის 12 იანვრის კანონის გამოყენებით, სასჯელის სახედ განესაზღვრა 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა. ამასთანავე, მას 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

7. ჩვენი დაკვირვება (ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით):

ცეცხლსასროლი იარაღით საკუთარი მძღოლის დაჭრის საქმესთან დაკავშირებით თავად დაზარალებულის ჩვენებიდან გამომდინარე ვერ დგინდება ცეცხლსასროლი იარაღიდან უშუალოდ თენგიზ გუნავას მიერ გასროლის ფაქტი.

სახელმწიფო სახსრების მითვისების საქმე არსებითად დახურულ სხდომაზე განიხილებოდა; შესაბამისად, ამ ნაწილში თენგიზ გუნავას საქმეს ვერ შევაფასებთ.

მეგის ქარდავა

1. ჯაშუშობის აღიარების მიზნით განხორციელებული ძალადობის ეპიზოდი

(დ.ლ-ს ფიზიკური და ფსიქიკური იძულება, ეღიარებინა ჯაშუშობა)

1.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

მეგის ქარდავა, სერგო ბიწაძე, რატი მგელაძე, ზვიად კაკაბაძე, თორნიკე გუნავა, მერაბ მეტრეველი, ალექსანდრე ხუჭუაშვილი, მამუკა წურწუმია, გიორგი სამუშია, კოხტა კოდუა – სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების თანამშრომლები.

წაყენებული ბრალი:

1. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი</u>.
2. მძევლად ხელში ჩაგდება – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლი</u>.
3. წამება დამამძიმებელ გარემოებებში – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441 მუხლი</u>.

1.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

2011 წელს მეგის ქარდავა ბაჩანა ახალაიას თანდასწრებით დაემუქრა **დ.ლ-ს და ჯაშუშობის აღიარება მოსთხოვა**. დ.ლ-მ მუქარის შედეგად ჯაშუშობა აღიარა.

1.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

დაზარალებული დ.ლ სამხედრო მოსამსახურე იყო. მისი ჩვენების თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ, დედამისის ნაკვეთზე საკუთრების უფლება საბაზრო ღირებულებაზე საგრძნობლად დაბალ ფასად მოეპოვებინათ. ამ მიზნით დ.ლ გამოიძახეს სამხედრო პოლიციაში, სადაც ის მეგის ქარდავას შეხვდა. ქარდავამ მას განუმარტა, რომ თუ ნაკვეთს არ გაყიდდა, პრობლემები შეექმნებოდა. დაზარალებულის ჩვენებით, შეხვედრის შემდეგ მისი ტელეფონის მოსმენა დაიწყო. ერთ ღამეს მას დაურეკეს და უთხრეს, რომ სამსახურში გამოცხადებულიყო. იქ მას დახვდა სამხედრო პოლიციელი, რომელმაც იგი მეგის ქარდავას კაბინეტში შეიყვანა. ქარდავას გარდა, კაბინეტში კიდევ ოთხი პირი იმყოფებოდა. დაზარალებულის განცხადებით, მას კაბინეტში ფიზიკურად გაუსწორდნენ და სამშობლოს ღალატის აღიარებას აიძულებდნენ. მეგის ქარდავამ დაზარალებულს აგინა და თავში ჩაარტყა. ცემის შემდეგ დაზარალებულს დაემუქრნენ, რომ, თუ ის არ აღიარებდა დანაშაულს, მის მიმართ სექსუალურ ძალადობას განახორციელებდნენ. ამ მუქარის შემდეგ დაზარალებული დათანხმდა ჯაშუშობის აღიარებას. კერძოდ, დ.ლ-ს თქმით, მოცემული დროისთვის მასთან ჩამოსული იყო მისი მეგობარი, ვინმე ტომაშუკი, რომელსაც მისთვის მეხსიერების ბარათზე შენახული მისი ოჯახის წევრების სურათები უნდა გადაეცა. დ.ლ-ს განცხადებით, მას ფარული კამერა მიამაგრეს და უთხრეს, რომ შეხვედროდა ტომაშუკს, გამოერთმია მეხსიერების ბარათი, რომელზედაც სურათები იყო შენახული, და შემდეგ შეხვედრაზე შეთანხმებოდა. ის ასეც მოიქცა. ამის შემდეგ დ.ლ-ს გააცნეს გეგმა, თუ როგორ უნდა გადაეცა ტომაშუკისთვის ჩიპი, რომელიც ქარდავამ მისცა და რომელზედაც, როგორც მას უთხრეს, საიდუმლო ინფორმაცია იქნებოდა შენახული. დ.ლ გეგმის შესაბამისად შეხვდა ტომაშუკს და გადასცა

ჩიპი, ასევე განუმარტა, რომ მასზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო შენახული და ტომაშუკს შეეძლო ის გაეყიდა. დ.ლ-ს ჩვენებიდან გამომდინარე, სწორედ ამის საფუძველზე დაადანაშაულეს ჯაშუშობაში ის და მისი ნაცნობი, სერგო თეთრაძე. ამასთანავე, სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა დ.ლ-ს მობილური ტელეფონიდან ამოარჩიეს 3 პირი, მათ შორის, სერგო თეთრაძე, რომლებთან ერთადაც თითქოსდა ის ჯაშუშობას ახორციელებდა.

შენიშვნა: *სერგო თეთრაძის ეპიზოდი, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებულ სხვა მოწმეთა ჩვენებები დაწვრილებით საქმეში არსებულ მე-2 ეპიზოდზე მსჯელობისას იქნება განხილული.*

2. სერგო თეთრაძის ეპიზოდი

(სერგო თეთრაძის წამება და მის მიმართ სექსუალური ძალადობის განხორციელება)

2.1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

მეგის ქარდავა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი.

წაყენებული ბრალი:

1. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი</u>.
2. წამება – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441 მუხლის პირველი ნაწილი და მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „ზ“ და „ე“ ქვეპუნქტები</u>.

ვიქტორ ყაჭეიშვილი – სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი;

ოლეგ ფაცაცია – სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსი;

ალექსანდრე მუხაძე – სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების ყოფილი დირექტორი.

წაყენებული ბრალი:
სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი</u>.

2.2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

2011 წლის სექტემბერში მეგის ქარდავას, ვიქტორ ყაჭეიშვილისა და ოლეგ ფაცაციას მითითებით და გეგმის შესაბამისად არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პატიმრებმა – მელაშვილმა და სისაურმა – ჯაშუშობის აღიარების მოთხოვნით აწამეს სერგო თეთრაძე და მის მიმართ სექსუალური ძალადობა განახორციელეს (ხდებოდა ასევე წამების ვიდეოგადაღება). წამების პროცესში თეთრაძე ინფარქტით გარდაიცვალა.

2.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

სერგო თეთრაძე სწორედ დაზარალებულ დ.ლ-ს მიერ იძულებით ჩვენების მიცემის საფუძველზე დააკავეს. თავად მოწმის ჩვენების თანახმად, მისი მობილური ტელეფონიდან ამოარჩიეს სერგო თეთრაძე, როგორც ჯაშუშობის ერთ-ერთი მონაწილე, და მიიღეს მისი საკონტაქტო ინფორმაცია. ამის შემდეგ სერგო თეთრაძის ბინაში ჩხრეკა ჩატარდა. კერძოდ, გარდაცვლილის მეუღლის, მარინა თეთრაძის, ჩვენების თანახმად, 2011 წლის 17 სექტემბერს მათი საცხოვრებელი ბინა შესაბამისი ორდერის წარდგენის გარეშე გაჩხრიკეს; ჩხრეკას არც მოწმეები ესწრებოდნენ. სერგო თეთრაძის მეუღლემ აღნიშნა, რომ ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა ვერაფერი იპოვეს; ამოიღეს თეთრაძის პასპორტი და მობილური ტელეფონი. მათ აღნიშნული ნივთები მაგიდაზე დაალაგეს. მათთან ერთად მაგიდაზე იდო წითელი მეხსიერების ბარათი, რომელიც, მარინა თეთრაძის განცხადებით, ოჯახის არცერთ წევრს არ ეკუთვნოდა. ამის შემდეგ მტკიცებულებები დალუქეს და წაიღეს. შემდგომ, მოწმის თქმით, სერგო თეთრაძე დაკითხვის მიზნით სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა წაიყვანეს. რამდენიმე საათში 20-კაციანმა ჯგუფმა ხელახლა ჩაატარა ჩხრეკა სარდაფში. ეს პროცესი 2 საათს მიმდინარეობდა. მოწმის განცხადებით, იმავე დღეს მასთან მივიდა პიროვნება, რომელმაც სთხოვა, ოქმზე მოეწერა ხელი. მარინა თეთრაძეს აღნიშნულ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია. მან იმავე პიროვნებისგან გაიგო, რომ მისი მეუღლე დაკითხვაზე ჰყავდათ. მოწმის განცხადებით, მისმა ადვოკატმა მხოლოდ მეორე დღეს შეძლო იმის დადგენა, თუ სად იმყოფებოდა სერგო თეთრაძე. როგორც გაირკვა, თეთრაძე მოთავსებული იყო წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც მასზე ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. 2011 წლის 19 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე ჩატარდა სერგო თეთრაძის სასამართლო სხდომა. მას ჯაშუშობის ჩადენას აბრალებდნენ. სხდომაზე მარინა თეთრაძემ ნახა თავისი მეუღლე, რომელსაც სახის მნიშვნელოვანი ნაწილი გაშავებული ჰქონდა და გადაადგილება უჭირდა. მას შემდეგ მარინა თეთრაძეს მეუღლე აღარ უნახავს. 24 სექტემბერს სერგო თეთრაძის ოჯახს აცნობეს, რომ თეთრაძეს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, მოგვიანებით კი მარინა თეთრაძეს შეატყობინეს, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა და ცხედარი უნდა წაესვენებინათ. მოწმის თქმით, როდესაც მისი მეუღლე სახლში მიასვენეს, ცხედარს საკუთარი ტანსაცმელი არ ეცვა, ნაწამები იყო და სახეზე მაკიაჟი ჰქონდა გაკეთებული.

მოწმე ლ.ფ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კონტროლიორად მუშაობდა. მას პატიმრების სასამართლო პროცესზე გაშვებისა და მიღების აღრიცხვა ევალებოდა. მოწმემ პროცესზე გაიხსენა „ჭაღარა კაცის“ წამებისა და გარდაცვალების ფაქტი, რომელიც 2011 წლის სექტემბერში მოხდა.

პროცესზე ასევე დაიკითხნენ მოწმეები თ.ა და გ.გ. მათი ჩვენებები ემთხვეოდა ზემოთ მითითებულ მოწმეთა ჩვენებებს. გ.გ-მ გაიხსენა, რომ საკანში ყოფნისას დაინახა, თუ როგორ გაიყვანეს საკნიდან სერგო თეთრაძე, და შემდეგ მისი ყვირილის ხმა ესმოდა. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ 23 სექტემბერს დაინახა, თუ როგორ გაასვენეს გარდაცვლილი თეთრაძე. გ.გ-მ ისიც გაიხსენა, რომ გამომძიებელმა გოგიჩაიშვილმა მას ადვოკატების აცილების თაობაზე განცხადება დააწერინა და ახალ ადვოკატთან ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი.

საქმეში არსებობს სისაურისა და ტერაშვილის აღიარებები, აგრეთვე სხვა მოწმეთა ჩვენებები.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 18 სექტემბერს სერგო თეთრაძე პასუხისგებაში მიეცა ჯაშუშობის ბრალდებით სამ სხვა პირთან – დ.ლ-სთან, გ.გ-სთან და ს.ჩ-სთან – ერთად. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით ყველა ბრალდებული

პირი პოლიტიკურ პატიმრად იქნა ცნობილი და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2013 წლის 12 იანვრის კანონის საფუძველზე გათავისუფლდა სასჯელისგან.

4. პროცესის მიმდინარეობა:

სხდომაზე დაზარალებულ სერგო თეთრაძის ადვოკატსა და ერთ-ერთი ბრალდებულის ცოლსა და დედას შორის შელაპარაკება მოხდა. ისინი ერთიმეორეს უკან ისხდნენ და, თეთრაძის ადვოკატის თქმით, მთელი სხდომის განმავლობაში მას შეურაცხყოფას აყენებდნენ, რაც საბოლოოდ მან არ მოითმინა. მოსამართლემ სამივე პირი გააძევა სასამართლო დარბაზიდან. აღსანიშნავია, რომ პროცესის ბოლოს პროკურორმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, სერგო თეთრაძის ადვოკატი პროცესზე დაეშვათ, რადგან ინციდენტი მისი ბრალით არ მომხდარა. მოსამართლემ შუამდგომლობა **დააკმაყოფილა**, თუმცა განაცხადა, რომ ფაქტის განმეორების შემთხვევაში მსგავს შუამდგომლობას აღარ დააკმაყოფილებდა.

ამჟამად მტკიცებულებები იხილება.

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: ბრალდების მხარემ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, რაც ბრალდების სიმძიმით, მოწმეებზე შესაძლო ზემოქმედებით და იმით ახსნა, რომ ერთ-ერთი ბრალდებული, მეგის ქარდავა, მიმალული იყო.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მოთხოვნას და პირდაპირი მტკიცებულებების (ექსპერტის დასკვნის) არარსებობაზე მიუთითა.

განჩინება: მოსამართლემ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, გაითვალისწინა არსებული ვითარება, მათ შორის, ის ფაქტი, რომ მეგის ქარდავა მიმალული იყო, და დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

6. განაჩენი:

საქმე კვლავ იხილება.

7. ჩვენი დაკვირვება (ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით):

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები ძირითადად მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ერთმანეთს ემთხვევა და გარკვეულწილად სრულ სურათს იძლევა.

გიორგი (გეგი) ქელბაქიანი და არჩილ ჩოგოვაძე

(რიყეზე მიმდინარე სამუშაოებისთვის შპს „გვირაბგამყვანისთვის“ გადარიცხული 6 589 ათასი ლარიდან (ამის შესახებ ხელშეკრულება მხარეებს შორის არ დადებულა) 2 535 ათასი ლარის უკან დაბრუნება)

1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

გიორგი ქელბაქიანი – შპს „ენ-სი-სი“-ს 70% წილის მფლობელი და დირექტორი (მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის გიორგი უგულავასთან მეგობრობდა, თუმცა მასთან არანაირი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა).

წაყენებული ბრალი:

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი</u>.
2. ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადება – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლი</u>.

არჩილ ჩოგოვაძე – შპს „ენ-სი-სი“-ს ფინანსური მენეჯერი.

წაყენებული ბრალი:

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, – <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი</u>.

2. რით გამოიხატა ქმედება, პროკურატურის ბრალდების თანახმად:

პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შპს „ენ-სი-სი“-მ 2009 წლიდან 2011 წლის ჩათვლით, თბილისის მერიის დაკვეთით სხვადასხვა სახის სამუშაოები განახორციელა. ერთ-ერთთან დაკავშირებით სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების ნიშნები გამოიკვეთა. კერძოდ, რიყეზე სამუშაოების ჩატარების მიზნით შპს „ენ-სი-სი“-მ გოჩა დარსაძესა და შპს „გვირაბგამყვანს“ 6 589 ათასი ლარი გადაურიცხა (ამის შესახებ ხელშეკრულება მხარეებს შორის არ დადებულა). აღნიშნული თანხიდან გიორგი ქელბაქიანმა და არჩილ ჩოგოვაძემ 2 535 ათასი ლარი უკან დაიბრუნეს.

3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებები – გამოძიება დაიწყო გ.დ-ს მიერ გამოძიებისთვის ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, რომლის თანახმადაც, შპს „ენ-სი-სი“-ს 70% წილის მფლობელმა და დირექტორმა გიორგი ქელბაქიანმა და ფინანსურმა მენეჯერმა არჩილ ჩოგოვაძემ რიყის მშენებლობის საქმეზე დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი მიიღეს.

მოწმე გ.თ-მ, რომელიც 2011-2012 წლებში მუშაობდა აღნიშნულ პროექტებზე, განაცხადა, რომ, მისი უშუალო მეთვალყურის ინფორმაციით, *მითითებულ ობიექტზე სამუშაოებს გიორგი ქელბაქიანი უკვეთავდა.* ანალოგიური ჩვენება მისცეს პროექტში დასაქმებულმა სხვა პირებმაც. ყველა შემთხვევაში იკვეთებოდა ის გარემოება, რომ მუშებს არ ჰქონიათ

უშუალო შეხება ქელბაქიანთან და დარსაძის გადმოცემით იცოდნენ, რომ პროექტს ქელბაქიანი ხელმძღვანელობდა.

ჩვენება მისცა ასევე მოწმე რ.მ-მ, რომელმაც 2011 წელს აღნიშნული კომპანიის საფინანსო შემოწმება ჩაატარა. მისი თქმით, შემოწმების ჩატარებისას გამოყენებულ იქნა საბანკო ანგარიშები, დაკითხვის ოქმები და ბრალდებულთა კომპიუტერებიდან აღებული დოკუმენტები. ამის საფუძველზე მოწმემ დაადგინა, რომ ე. წ. „ატკატი“ ხორციელდებოდა. კერძო მიმოწერებში მითითებული იყო მისაღები და მიღებული თანხები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ტერმინი „ატკატი“ გამოძიების ეტაპზე მოწმეთა ჩვენებებში გამოიყენებოდა. დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ პირისთვის ზედმეტი თანხის გადარიცხვა და შემდეგ ამ ზედმეტობის უკან დაბრუნება არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული უკანონო ქმედებად, ხოლო მოწმეს არ ჰქონდა უფლება, თავის დასკვნაში გამოეყენებინა სიტყვა „ატკატი“, რადგან ის არ იყო იურისტი და არ ჰქონდა ფაქტების სამართლებრივი შეფასების კომპეტენცია.

4. პროცესის მიმდინარეობა:

ამჟამად მტკიცებულებები იხილება.

5. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება:

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: პროკურატურამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

განჩინება: სასამართლომ გაითვალისწინა დანაშაულის სიმძიმე, ბრალდებულის პიროვნება და სხვა ფაქტორები და დააკმაყოფილა შუამდგომლობა. ბრალდებულ გიორგი ქელბაქიანს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო (150 ათასი ლარი), არჩილ ჩოგოვაძეს კი – პატიმრობა. ამის დასაბუთება მოწმეებზე გავლენის მოხდენის საშიშროება იყო.

აღნიშნულ საქმეზე პროცესის მიმდინარეობისას დაცვის მხარემ არაერთხელ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით პატიმრობის გირაოთი შეცვლის თაობაზე, თუმცა მოსამართლე მიუთითებდა, რომ აღკვეთის ღონისძიების არასაპატიმრო სახით შეცვლისთვის კანონით გათვალისწინებული გარემოება არ არსებობდა, და არ აკმაყოფილებდა შუამდგომლობას. მხოლოდ მოწმეთა დაკითხვის დასრულების შემდეგ დააკმაყოფილა მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა; შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გირაოთი (100 ათასი ლარი) შეიცვალა.

6. განაჩენი:

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

7. ჩვენი დაკვირვება:

ბრალდების მხარის ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულებაა სამუშაოს მწარმოებელი იურიდიული პირებისთვის გადარიცხული თანხების ნაწილის უკან, ბრალდებულთა ანგარიშზე დაბრუნება. ამ ეტაპზე ნათლად არ არის გამოხატული, თუ რამდენად შეიცავს ზემოაღნიშნული ქმედება სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების ნიშნებს.